

კავა ერთონტელი

კოლხური
ფსალმენი

100-ტომეული




გამომცემლობა „ანივერსალი“
თბილისი 2019

საქართველოს მფრინავთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ჩალენჟა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჭავა ერისტლი



კოლეური ფსალმუნები

თხზულებათა პრეპული

100 ტომად


2019



საქართველოს მწვრალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ჩალენჟა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჩალენჟა საქართველო



კოლეული
ფსალტები

ტომი 9

2019



მთ. რედაქტორი

გულნაზ ხარაიშვილი

პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის
პრემიის ლაურიატი, უკრნალ
„ათინათის“ მთავარი რედაქტო-
რი, ჯუმბერ ლეჟავას სახელო-
ბის მეცნიერებათა საერთაშო-
რისო აკადემიის პრეზიდენტი

© ვაჟა ეგრისელი, 2019

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2019

თბილისი, 0186, ა. აღლიძის 3საათს №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-672-0 (9 ტომი)



* * *

ვაჟა ეგრისელი დაიგადა ხოგის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით უურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსიტუტი. ორმოცადღე ზოგნის ავტორია. იარგნილი და ცალკე ზიბნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძევებების მომღერალი ავტორია ახალგაზრდა კოექტის ლექსის მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტივანი“, ალექსანდრა სეირნოვა-კოზლოვას მონოგრაფია – „პრიუსოველი – ალიო გამამვილი“, ვეოდორ ტიტენევის ლექსიები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასბერდიანი, ორი ათასამეტ ლექსის მომცველი ერთობლიული – „იმავე ნიმუშილი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუბლივის გამოცემულობა „მოლოდინება“ გამოსცა ვაჟა ეგრისელის „გოლეური შსალმუნებელი“-ს ხეთორეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძრილება იყო დაგეჭიდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოროებ ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა პოეტის მესუმე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბული.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონორრაციაა დაწერილი და ცალკე ზიბნებად გამოცემული.

ვაჟა ეგრისელი საქართველოს და მსოფლიოს რადგენის მეცნიერებებითა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მზერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სამრთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ზე და საქართველოს ეროვნული აკადემიაზ დაიოზებს ქართული კოექტის რაინდის, საქართველოს მზერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიის კოემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კაგალერის, ძართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიორსპურია 2005“-ის, მუნიკილის უძროს ვარსკვლავისა და მაცილების ღრუშის მფლობელის, სახალხო კოექტის, საქართველოს მზერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სამრთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზის სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,




აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა „ვარძის“, „აიას“ აკადემიების ნაშვილი წევრის, ჩარბლის, ზუბლიდის, ხობის, იქალიოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტბერძილიანი ტო-მეულების „კოლეჯი ზსალმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) აცტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლეჯ-რი ზსალმუნების“ ოცდაათოორმეულის გამოცემა. გამოცემ-ლობა „შეიცვალეთ“ გამოსცა პოეტის ხუთასზე მეტბერძილიანი, უმაღლეს კოლიბრაციულ დოკეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი ზსალმუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენია 90 ტომია (უკავებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წლს. გამზადებულია დასახურდად ვაჟა ებრისელის კლასიკური კოეზის ათტომეული, აბრეტივი, კოეტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე აცტორი) წიგნების (მოწოდებაზოების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ვაზისის (კოლე-ტის) სამრო-სამეცნიერო აკადემიის სამრთო კონგრესული არენდებულის ვაკანტურ ადგილზე ლია კენჭისქრიო ერთ-ხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-კორეზიდენტი, ცერიმონიული კოეტი, ქართული კოეზის რაინდი, ქართული კულტურის დესპანი, „კოლეჯი ზსალმუნების“ 100-ტომეულის აცტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო ღოძტორი, კორფუსორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2020 წლის 22 ოქტომბერი

კეთევს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მოწოდელი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დაჩი (მოწევ იურისტი) და სამი ვა-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნიერებულია (ქვეყნი ქმა და ორი და).



პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დღით ხნის წინაც ვჯერდი: „რუსთაველს აკაიის და გალაკტიონს, ლემორი არ მიშენს რომ შეგადარო. გავხარ ჭდვის ლელვას და ნახ სირსაც, რომ აზანზარშეს წუმად სამყაროს...“

ამქამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „შასლმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაბონილი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე გეტგერდინანი „პაჯაღლო“, ოძროს ყდაში წასმული, ოცდათორმეული ზავიკოთხე, ჩემი ძველი აზრი რაღიკალურად შარვებავი და... დღეს ძველის ბასაბროად ხმამაღლა ვაცხალებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაიის, არც გალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰქავს...“

ის პრეისტორიული კოლეგიის „ძუტაია“, არქის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელიც მოროს საჭმისი ეკიდა (რომელიც გერძენა კი არა, აელახბა იასონება მყდევასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიას, კოლეგიის მითიური ხელმიწის, აიეტის ხელით დარბული, ის ურჩხულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადაწვდილ ტოტები, კოეტგა მოროს საჭმისის „გონის“ მაგიერ იაგისი „კოლხერი შასლმუნების“ იგავიზუალობელი ასტომეული დაკიდა და ბააცოცხლა, მიმინეული, დავიზების ნაცარმიქილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს რცდათორისამაგათხე გეთ საუკუნევანი მითებით, ლეგენდებითა და საოცნებებით დასუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ქ. ვ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმისანს არ გაუკეთებია.

100-ტორმეული... ძველის ბაჩნის დღიდან, XXI საუკუნის რიქ-რაძამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, მოვლისმომცველი კოზია, ჯერ-ჯერმით არავის მეშმენია დედამიზაზე...

კოსმოსში 30...

დაბოლო:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიმაღლის გვილეული მისწოდია... მათ იციან იქ იწყება დედამიზის ისტორია.“

გულნაზ ხარაიშვილი
პოეტი, გალაკტიონ ტაბიის პრემიის დაურიატი,
ჯემბერ ლექაგას სახელობის მეცნიერებათა
საერთოაზორისო აკადემიის პრეზიდენტი



„ბულეტინი შეხვდი ყოველ ძმას, ყოველ ქაბებას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაგივრ
(გაგრძელება)

აშკარაა, რომ „კოლხური ფსალმუნების“ ავტორისთვის დიდი იმპულსია შოთა რუსთაველის შემოქმედება.

ვაჟა ეგრისელი გვეცხადება, როგორც „რუსთველივით ზემხედველი“, „ცის მწიბავი, მაღალი და მაღლად მხედი“. „

ჩვენი თანამედროვე პოეტის სურვილი გაცხადებულია სტრიქონებში: „ვეფხვის ზოლებზე დავწერო, რაც შოთას დარჩა უთქმელი“, „შენი ლექსების ფარზე აზიდე სიამაყე და სიბრძნე რუსთაველის“, „ჩემს წიგნებში გაწოლილი სტრიქონები კი არა და შოთას ვეფხვის ზოლებია“ (ავთანდილის ისრით ნატყორცნ).

„პოეტს მრავალგზის აქცენტირებული აქვს „ვეფხვის ტყავში გახვეული შოთას სიბრძნე“, „ვეფხვის

თვალებში იელვებს ფიქრი რუსთველის“, ამბობს სხვაგან.

„მეცხრე ციდან ჩამოფრენილი“ პოეტის იდეალია არა „ხარო და მიწური“, არამედ ვარსკვლავებიანი ზეცით შემოსვა ვეფხისტყავის დარად: „მეცხრე ციდან ჩამოფრენილს, დღის და ღამის ფრთიან მგოსანს, გაკრთობს ხარო და მიწური. ვეფხისტყავად ზეცა გმოსავს, ვარსკვლავებით დაწინწკლული“ (მეცხრე ციდან ჩამოფრენილს).

ვეფხვი სიცოცხლის, სიყვარულის, „კოლხური ფსალმუნების“, უფლის მადლის და მირონის ჭრილში მოიხსენება და უპირისპირდება სოფლიურ მეუფებას, ბაბილონის ალამს: „სიცოცხლე და სიყვარული და „კოლხური ფსალმუნები“, უფლის მადლით და მირონით ვეფხვის დარად დაწინწკლული, წუხს სოფლიურ მეუფებას, ვით ალამი ბაბილონის“.

სიცოცხლე, სიყვარული სადვოო სახელებია, „კოლხური ფსალმუნები“ უფლის მადლის მატარებელი წიგნებია. როგორ გაგიგოთ ამ ჭრილში ვეფხვის ხსენება? „ვეფხვის ტყავი სიმბოლოა სამეფო ინიციაციისა, ვინაიდან დაპავშირებულია შობასთან და ხელახლა შობასთან.“

„გადაჭდობილი ვეფხის ტყავი ნიშნავს შობას, საერთოდ ფორმირებას. ძველ ეგვიპტეში არსებობდა ინიციაციური რიტუალი ტყავში გასვლისა, რომელ-



საც გადიოდნენ ფარაონები და ქურუმნი გასაჭაბუ-
კებლად, სულიერი სიბრძნის მისაღწევად“ (19, 118).

„შაჲ-ნამეს მითიური მეფე ქეიმურსი და მისი ქვე-
შევრდომნი... გაძლიერდნენ და დაბრძენდნენ მას შექ-
დებ, რაც ქეიმურსმა ვეფხვის ტყავები შეპმოსა მათ“
(19, 190).

„ვეფხისტყაოსნობა“ სიმბოლოა თურანზე, ბნე-
ლეთზე გამარჯვებისა.

„ტარიელს მოსავს ვეფხვის ტყავი ვარსკვლავეთი,
ანუ სამყარო, როგორც სიბრძნის, როგორც მისი
უზენაესი გონების განსახიერება“ (19, 199).

ბასილი დიდის „ფიზიოლოგოსში“ ვეფხვი სიმბო-
ლოა ქრისტესი, ხოლო მისი ტყავი მშვენებით ედრე-
ბა იოსების სამოსს. ამდენად, ვეფხვის ტყავით მოხი-
ლის გაგება ფუნქციურად ემთხვევა ჰაგიოგრაფიული
„ქრისტესშემოსილის გაგებას“ (13, 200).

ზემოსსენებულ ლექსში ვეფხვი უპირისპირდება
ბაბილონის ალამს, რომლის დევიზია ამსოფლურო-
ბა, რაც დაგმობილია აპოკალიფსში.

სხვა ლექსში პოეტი „ქეიმურსივით ვეფხვის ტყა-
ვით მოსავს კოლხეთს, რომ დვოის სიბრძნეს აზია-
როს“ (დრომ გაავლო ყველას მუსრი).

ასეთი სიმბოლურ-იგავური სერხით გაეპავქა ვა-
ქა ეგრისელი თავის დიდ წინაპარს.



კიდევ რა ასპექტში ართმევს იგი ხელს წინამორბედ გენიას, ეს მომავალმა კვლევამ უნდა ცხადყოს.

ღმერთი საღვთო ნისლში სუფევს და მხოლოდ რჩეულთ, წმინდანთ ეცხადება. ბიბლიაში ასეთები იყვნენ მოსე, გედეონი, აბრაამი.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელი ირწმუნება: „ღვთაებრივი ხილვა მხოლოდ მათ ოდენ გამოუჩნდების დაუფარველად და ჭეშმარიტებით, რომელნი წმიდათაც და არა წმიდათა ყოველთა თანა წარხდებიან და ყოველსავე ყოველთა წმიდათა მწყუერვალობად აღსლვასა ზედა-აღხდებიან და ყოველთავე საღმრთოთა ნათელსა ხმებსა და სიტყუებსა ზეცისასა ქუე დაუტევებენ და ნისლსა მას შევლენ, სადა იგი ნამდვილვე არს“ (31, 224, 10).

წმიდა სვიმეონ ღვთისმეტყველი, წმიდა ნეტარი ავგუსტინე ეზიარნებ უფლის დამაბრმავებელ სინათლეთან შეხვედრას.

„ვეფხვი ორმაგ სიმბოლოდ მიიჩნევა. სიხარულს, რაც ახლებური ცხოვრების, ჭეშმარიტი არსებობის იმპულსი გახდა.

ნეტარი ავგუსტინეს აზრით, „ღმერთი თავად არს ჭეშმარიტება“ და მისი ხილვისთვის საჭიროა“ გაუბედავი და ანაზდეული გაცისკროვნება გონებისა“ (7, 240).



გამოცხადების „უშრეტი ნათელი“ „სულის თვალით“ იხილვება და დამაბრმავებელია: „ჩემს სულში ჩავდრმავდი მე და სულის თვალითა ჩემითა ვიხილე... უშრეტი ნათელი, რომელიც ამ ჩემს სულიერ თვალს გონიებას ჩემსას დასდგომოდა თავს და არა ის ჩვეულებრივი ნათელი, ყოველი ხორციელი თვალი რომ ხედავს, გარნა ძალოვანი უფრო, გაცილებით მოგიზგიზე და მოელვარე, გარეშემო ყოველივე რომ აღუგისია თვისით... თვალი ჩემი დააბრმავა უეცარმა ნათელმა შენმა“ (ნეტარი ავგუსტინე) (7, 245).

წმიდა ეფრემ ასეური გვიცნობიერებს: „ოუ განწმენდილი ხარ ვნებათაგან, მაშინ შენშია ცა და ამ ცაში ხედავ ანგელოზებს, ნათლით შემოსილებს და მათთან ერთად მეუფეს მათსა“ (32, 230).

„კეთილი სული მზეზე უმეტეს ბრწყინვაგს და ყოველჟამს უფლის გამოცხადებით ხარობს“ (32, 23).

„ვისაც სურს ხილვა უფლისა, განწმინდოს გული, მარადის მისი ხსენებით და განათებული გონებით ყოველჟამს იხილავს ღმერთს“ (32, 231).

„ზეციური იერუსალიმი და სასუფეველი ღმრთისა... ჩვენშია დაფარული“ (ლუკა, 17, 24).

„ეს ადგილი არის ღრუბელი უფლის დიდებისა, რომელშიც შევლენ მხოლოდ წმინდანი გულითა, რათა იხილონ სახე თავიანთი მეუფისა და განათლდნენ უფლისმიერი ნათელით (32, 231).



„ბნელში მსხდომნო, აღემართენით, გადაიგდეთ ამ-სოფლიურ ვნებათა უდელი, რათა მიირქვათ ნათე-ლი, მამისგან გამომავალი“ (32, 233).

„ოუკი ყოველთვის საძმროო აზრებით იქნები და-კავებული, მაშინ ჭეშმარიტად იხილავ შენს სულში ქრისტეს ნათელს, დაუდამებელს“ (32, 240).

„სიმდაბლის, ცხოველი სარწმუნეობის მეშვეობით სულიერი თვალი დმერთს ხედავს“ (32, 435).

წმიდა მამა უფლის გამოცხადების სიხარულს გვიზიარებს: „ვჭვრეტ დვთაებრივი ნათლის მშვენიე-რებას და გხარობ მისით“ (32, 236).

წმიდა სვიმონ ახალი დვთისმეტყველი აცხადებს: „„ზნეკეთილთ უხილავთ ნათელი ხორციელი თვა-ლებით, კეთილსურნელება შეუყნოსავთ, ხმები სმენი-ათ საკუთარი ყურებით“ (33, 357) წმიდა ეპისკოპოს ეგ-ნატეს გამოცდილებით, ჯვარცმის გამთავისებელი, შემმეცნებელი ამაღლებული სიბრძნისა, გონებით და გულით ზეცად აღიტყორცნება და ჭვრეტს სულის საიდუმლოებებს უფლისა ჩვენისა იქსო ქრისტეს“ (33, 441).

„ვისაც სიმდაბლე არ გააჩნია, ვერასოდეს მოიპო-ვებს სულიერ ხედვას. ცხოველი სარწმუნოების მეშ-ვეობით სულიერი თვალი დმერთს ხედავს“ (33, 435).

„გულით ხედავს მგოსანი ხილულსა და უხილავს“ (გულით ხედავს მგოსანი), ამბობს ვაჟა ეგრისელი.



მისი ლექსის ლირიკული გმირი თეორით მოხილია (თეორი სიწმინდის ნიშანია) და მოხესავით ნისლში შედის ღმერთის სახილველად: „ელვის ოქრომკედით ნაქარგს, ისევ იცვამ თეორ სამოსელს, წვერ-ულვაში გშვენის თეორი. ნისლში მიხვალ, როგორც მოხე, ხილვად შენი მამაღმერთის“ (ელვის ოქრო-მკედით ნაქარგს).

პოეტი ირწმუნება: „ნამდვილს კი არადა, ფარულს სხივს იხილავ სულის თვალით“ (ერთი ფასი აქვს).

ამ ბედნიერებას კი მხოლოდ ისინი ეზიარებიან, ვინც ცის ყანას თესავდა და ასეთები ნათელმხილველებად და ნათელმსმენებად წარმოჩნდებიან: „ვარსკვლავთა ოქროს ნისკარტით, კენკავენ დღეთა ციცრები, რაც ცის მინდორზე დათესეს. ძე-იგი გელაციონება ნათელმხილველს და ნათელმსმენს“ (ვარიანტი).

უფლის ტაბლას ნაზიარებს, სულით ნათელდებულს, ანგელოზნი უგალობენ, „მზის თვალი“ (ღმერთი) უმზერს: „სიხარულის გაწყობილი, სასოფტის გიდგას ტაბლა, ანგელოზნი მღერიან და „მზის თვალი“ გიმზერს ალბათ, ცა და მიწა ნათლისდების ფრია“ (სიხარულის გაწყობილი).

მხეცთან, ბოროტებასთან მეომარი ჭვრეტს სიონის მთაზე კრავს (ქრისტეს) და ცხვრის ფარას (წმინდა ხალხს): „მიღმა ათასწლეულთა ნათელს მხეცი მიფარავს, რაღგან მასთან ვიომე და ვჭვრეტს:



„მთაზე სიონის მდგარ კრავსა და ცხვრის ფარას“ (ხილვა: სიონის მთა).


როგორც ბიბლიაში, ღმერთის მოვლინება ხდება ცეცხლითა და ნათლის სვეტის სახით: „... მეცხადება იგი ხშირად, ცეცხლითა და ნათლის სვეტით“.

ბიბლიის წმინდა ადამიანებივით, პოეტი ლირსი გამხდარა ეხილა „მზეთამზე“: „ვამბობ მათ გასაგონად (თუნდ მექიშპონ, მედაონ) ათონსა და ზედაზენს მეც მიხილავს მზეთამზე, ვით ისაკს და გედეონს“ (ვამბობ მით გასაგონად).

„სულიწმინდით, წყლით და ცეცხლით“ მონათლელს, „მზერას აღარ აშორებს ციდან თვალი ნათელი“ (მაშრიყიდან მაღრიბით). გამოცხადების სიხარული მრავალგზის განუცდია პოეტს: „უფლის გამოცხადება: თოლიად და მერცხლადაც, ასწლეულებს მიაპობს, ის შენ გამოგეცხადა, ვით ისაკს და იაკობს“ (უფლის გამოცხადება).

„ცის მჩხიბავი“, „მაღალი და მაღლად მხედი“ პოეტი სხვაგან სიმბოლური სახეებით გვამცნობს უზენაესის გამოცხადებას: „ვარსკვლავების ასოებით ცის რვეულში უნდა ვწერო, ჩემი არაგო და მტკვარო და ვიხილო „მაყვლის ჩერო“ „საუნჯე“ და „წმინდა წყარო“ (ვარსკვლავების ასოებით).

„მაყვლის ჩერო“ მარიამის, „საუნჯე“ და „წმინდა წყარო“ ქრისტეს სახელებია (34, 21).





ნათელმსმენი და ნათელმხილველია, უზენაესისგან
განდობილი და ხელდასხმულია ვაჟა ეგრისელი.

გიორგი გურჯიევის „ხრით, მხოლოდ შრომის,
მოქმედების შედეგია „განდობა“, „ხელდასხმა“, ზია-
რება, ნათელხილვის მინიჭება, რაც არსებითად,
„ოვითზიარებაა“. თქვენ იმუშავებთ, იმოქმედებთ და
თქვენი გაგება, წვდომის უნარი და დონე ტრანსფორ-
მირდება. ცოტა ხანში თქვენ უფრო „განდობილი“,
„ხელდასხმული“ იქნებით. შეუძლებელია კაცს მისცე
რამე, რაც მის მიერ უშუალოდ შესრულებული სამუ-
შაოს გარეშე ადამიანის განუყოფელი საკუთრება
გახდებოდა. ასეთი „ხელდასხმა“, ჭეშმარიტებასთან
ამგვარი ზიარება არ არსებობს. არსებობს მხოლოდ
„ოვითზიარება“. შესაძლებელია მითითების, რჩევის
მიცემა, მართვა, გაძლოლა, მაგრამ არა უშუალოდ
ზიარება, ნათელხილვის მინიჭება“ (19, 63).

„ოვითზიარების“ უნარით ვაჟა ეგრისელი სხვათა-
გან არსმენილს ისმენს, მას ესმის ორფეოსის ხმა,
ზარი არეოპაგელის და „პასუხი ექსუთა წმინდა გრი-
გოლ ნოსელის...“

„ოთხი თვალით და ოთხი ყურით“ გამორჩეულს
(მითაჟამი), ესმის პელიოსის ეტლის ხმაური, რამზე-
სის ეტლის გრიალი, ანგელოზების გალობა, მარადი-
სობის არია, მნათობების დვოიური პიმნი, მზის გუ-
ლის ფეთქვა, დედამიწის ბრუნვა, დამის ოქტავა, ოქ-



როს არფების წკრიალი, სადღაც, პლანეტების იქიდან გამოღწეული ხმა.

გამოცხადების თეთრით მოსილი წმინდანების გალობის ინტონაციების გამთავისებელს, ესმის ვარსკვლავთა ქნარების ხმა, მექნარეთა ჰანგები: „ორი ათასი, ვით წამი, გაქრა და... მთაზე სიონის, ისევ ისე დგება კრავი, მისდგომია მზე კარებთან. ვარსკვლავები ქნარს უკრავენ, ვისმენ ჰანგებს მექნარეთა“ (გამოცხადება). ბიბლიიდან ესმის „ესაიას მოთქმა და გოდება იერემიას“ (ალბათ იტყვიან ოდესმე).

სმენას წვდება ხან „ლურჯი ფრინველის“ ხმა, ხან შავი ყორნის ჩხავილი (ლეგენდიდან მოსული).

უფლის ხმად ევლინება ელვა: „ჩვენ ვერ ვიგებთ, მაგრამ ელვად, უფლის ხმები მუდამ ისმის ცადცნობადის ხედ ასული“ (ხედავს სული).

რერიხივით უზენაესის ხმები ესმის და „პოლხურ ფსალმუნებში“ უკვდავყოფს (ხელო გიპყრია სიცოცხლე).

თვით პოეტის ორფევსის დარი ხმები ლერწმის დეროებივით აშრიალებს ვარსკვლავებს, სულს უდგამს უსულო სამყაროს: „შენი ხმა, ვით ორფევსის აშრიალებს ვარსკვლავებს, ვითარც ლერწმის დერებს და სულს უდგამს უსულო პლანეტებს და სივროებს“ (შენი ხმა).

პოეზიის გამო ჯვარცმისთვის მზადმყოფ პოეტს იონას ბედს უწინასწარმეტყველებენ სიძულვილის



ძაღლები: „შავეთიდან მოფრენილი, დაგჩხავიან ეს ყორნები... სიძულვილის ძაღლი ისევ დავლავებს: ვით იონა, ვეშაპს მუცლად ეყოლები, „სამ დღესა და სამ დამეს“ (შავეთიდან მოფრენილი).

ნეტარმა ავგუსტინემ გვამცნო, როგორ გაიგონა „თავადის“ (ქრისტე) ხმა, როგორ იხილა სულის თვალით „უშრეტი ნათელი“ (7, 26-27).

ვაჟა ეგრისელს „გონში საჩუმის“ ანგელოზის და „თავადის“ ხმა მოუსმენია: „ერთხელ პარას ჭალაში, პტვრეტდი სანაპიროებს მსუბუქ ნისლით შემოსილს. უცებ გონში სიჩუმის თითქოს მეხი გავარდა: მესმა ხმა ანგელოზის, მასთან ერთად თავადის“ (ერთხელ პარას ჭალაში).

„უფლის ხმა რადა?“ – კითხულობს წმიდა ბასილ დიდი და ასე პასუხობს: „... ძილში ხომ შერხევის გარეშე ვიმახსოვრებთ ზოგიერთ სიტყვას და ხმას, რომელიც სმენით კი არ მივიღეთ, არამედ გულში ალგვებეჭდა. მხგავსად ამისა, უნდა მოვიაზროთ ის ხმაც, რომელიც წინასწამეტყველებს ღმერთისგან ესმით“ (9, 83).

„ხმა უფლისა უძლურს და დარღვეულ სულში როდია, არამედ მასში, ვინც თავდადებით და მტკიცედ იღწვის სიკეთის ქმნისათვის“ (9, 85).

ვაჟა ეგრისელის ლექსებიდან მოისმის „უკვდავების წყაროს ხმა“, „სიცოცხლის ხის შრიალი“ (უპ-



ვდავების წყარო, სიცოცხლის ხე უფლის სიმბოლოებია). პოეტი ნათელმხილველივით ხედავს სერაფიტას, აკრთობს ნერონის შემოხედვა, „გუშინდელივით“ ახსოვს „კაცობრიობის ბავშვობა“.

თანაბრად იმზირება ზესკნელ-ქვესკნელის საიდუმლოებებში, ხედავს სულს, სულს ვარსკვლავთა ცხრაკლიტულში გამოკეტილს: „ზესკნელსა და ქვესკნელს ატანს ჩემი სული, სარვა გატა. თუმც ჯერ არ აქვს ცაში ბინა. გჭვრებ სიკვდილზე ამაღლებულს, განშორების ფრთხებით მფრინავს...“

საოცარია მისი ხილვის არეალი: „ვით დღე დამიდან, სიკვდილიდან სიცოცხლე მოდის სხვა სილურ-ჯეთი და მე, როგორც პოეტი (სისხლის ყველა უკრედით) მკვდრადექმნილ ყოფნას ყოველთვის არყოფნიდან ვუჭვრეტდი“ (ბჟაგავად-გიტა).

„სადღაც, ტრანცენდენციურში იდუმალად მჭვრეტელი“, ისმენდა „ციურ გალობას“. პოეტის მარადიული სული წარღვნამდელი, ნოემდელი, პირველყოფილი ქაოსისა და ზღვის მჭვრეტელი სულია: „გრიგალი ქვეყნის დასასრულისკენ მიაქანებდა მთვარის კიდობანს და ვარსკვლავები შიშისგან თრთოდნენ. არ ჩანდა ნოე... და ქაოსიდან მე როცა მოველ, მთელი სამყარო ზღვა იყო ოდენ“ (გრიგალი).

უშორესის, უხილავის ხილვისა და მოახლოების უნარი მხოლოდ სულიერი თვალით მომაღლებულთა ხევდრია: „მარადისობის ჯვარზე გაკრული, მიღმური



სული მეტაფიზიკის, გასახარად და შენდა იმედად ისე ახლოა, როგორც ქიზიყი, როგორც მარიხი და ანდრომედა“.

სამყარო პოეტის სულია, მსოფლიო სული, კოლ-ბური სული, „კოლხური მაჟატა“ (კოლხური მაჟატა).

მარადისობას ელტვის პოეტის მარადიული სული: „მარადისობის ლურჯ ზღვაზე შენი სული, ვით თოლია, იფრენს, ვერ დადლის არავი...“ (მარადისობის ლურჯ ზღვაზე).

სულიერ ზეცაში, გრაალის ცაში მჭვრეტელი პოეტი – სამებას ხედავდა: „მთვარე ჩადის... და გრაალის ცაში იხედები ბინდად. და შენ ხედავ დავითოვით მამას, ძეს და სულიწმინდას“ (მთვარე ჩადის).

ორგვარი ნათელის შემცნობი, „ნათელში ბნელს დაეძებს, სინათლეზე უზემოესს“ (შორს).

მოსესავით მაღალ მთაზე ასვლა და ცეცხლწაკიდებული მაყვლის ხილვა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია: „თუ შენი მზე გაიფურჩნა, ისე ასვალ მაღალ მთაზე, ცეცხლს იხილავ მოგიზგიზეს მაყვლის ბუჩქთან“ (ვითარც წინაპართა სული).

პოეტის სული უსასრულობისკენ, მეთერთმეტე ცისკენ მიიწევს, „სადაც მხოლოდ სინათლე და ღმერთია“ (სხვა არა). ყოვლისშემძლის მოწოდება ესმის, როგორც ელიაზარს: „... და შენ ყოვლისგამრიგე გხმობს, ვით ელიაზარი“ (როდესაც ცის ტაძარი).



„ნათლის წყარო, „სინათლის ნაკადული“ ასხივოსნებს პოეტს და „ცათა საყვირის“ (ღმერთის სახელია) ხმა ესმის: „ნაკადული სინათლის, ვით მდინარე მოდიდდა. ან რაა გასაკვირი, რომ გესმოდა ოდიდან, ხმები ცათა საყვირის“ (ნაკადული სინათლის).

გამოცხადების მექნარეთა გალობის, მამის, ძისა და სულიწმინდის ხმათა გაგონების უნარი მომადლებია პოეტს: „ეშმას მცნებით აღჭურვილი, ბერავს უძლურების ქარი. ცას სინათლის უვლის ბინდი. მაინც ხმები ისმის ქნარის, მამის, ძის და სულიწმინდის“ (ეშმას მცნებით აღჭურვილი).

მოსესავით წმინდა მთიდან მოესმის ღმერთის ხმა: „დღენიადაგ მასზე მლოცველს, მაცხოვარი მუდამ თავის ახლო მთვლიდა. აი, ახლაც უფაროდ და უხმლოდ, მუხლმოყრილი უფალს უუხმობ და მპასუხობს იგი თავის წმინდა მთიდან“ (დღენიადაგ მასზე მლოცველს).

წმინდა ნიკიტა სტიფატე წერს სვიმეონ ღვთისმეტყველის შესახებ: „წმიდა სვიმეონ ღვთისმეტყველი ღირს-იქმნა ღვთაებრივი გამოცხადებისა, ღვთაებრივი ნათლით განიმსჭვალა და აღივსო... (14, 408). „იგი ღირს-ქმნა უდიდესი გამოცხადებისა, ენით უთქმელი ჭვრებისა, საიდუმლო საუბრისა, ღვთაებრივ ხმათა მოსმენისა, რაც სასწაულებრივი სახით გარდამოხდა მასზედ (14, 410) ... მოციქულებრივი მადლი




მიიღო, სულიწმინდის ღვთაებრივი ცეცხლით აღინითო. საღმრთო სახელდებათა სიუხვით და განსჯის უნარით გადაამეტა ყველა მჭევრმეტყველსა და სიბრძნის მწვერვალებს შესწვდა... საღმრთო სჯულისა და დოგმატების ზედმიწევნით მცოდნე ღვთისმეტყველი. ღრმა რწმენით გარდამოვიდა კიდეც მასზე სული სიბრძნისა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში პგიებდა მასთან ხელთუქმნელი ნათელი.

„...მას ჭეშმარიტად ასულდგმულებდა საღმრთო ნათელი, ლამპარივით უნათებდა გონებას და სავსებით ნათლად გამოოქვამდა და წერდა იმას, რასაც ნათელმხილველის მზერა ხედავდა“ (14, 411).

„...იგი უგალობდა ღვთაებრივს, ბუნებას ზეშთა-ბუნებრივს“ (14, 413).

წმინდა ბასილ დიდი წერს: „...ღმრთეებრივ სმენას ხმა არ სჭირდება შესაგრძნობად, რადგან გულის მოძრაობითაც შეუძლია შეცნობა იმისა, რასაც ვითხოვთ... ღმერთს შეუძლია მართლის სისხლსაც მოუსმინოს, თუმცა მას არც ენა აქვს და არც ხმა... უდიდესი ხმა წინაშე უფლისა მართალ საქმეთა გაცხადებაა“ (9, 200). „როცა ჩვენ ღვთის ხმაზე, სიტყვაზე და ბრძანებაზე ვსაუბრობთ, სამეტყველო ორგანოებით გამოცემულ ბგერებს კი არ ვგულისხმობთ, არამედ იმათთვის, ვინც სწავლობს, უფრო მეტად ნათელსაყოფად, ბრძანების სახით გვსურს ნების წამისყოფა გამოვსახოთ“ (9, 226).






ხშირად ერთდროულად ვლინდება ნათელსმენისა და ნათელხილვის ფენომენები. პოეტს ხელეწიფება ათასწლეულთა საშოდან ისმინოს და იხილოს ერთი შეხედვით გაუგონარი და დაუჯერებელი: „ისე ახლოს მოისმის ზარის რეკვა ჰეკატეს, თითქოს ათასწლეულთა გზები არ გაედიოს. ნათლად ვხედავ მუდეას, აფსირტეს და აიეტეს, ფაზისთან ვით ელიან მზის ღვთაება ჰელიოსს“ (ხილვა-მედეა, აფსირტე, აიეტე).

ლექსში „ხილვა: მაცხოვარი“ პოეტი ჭვრეტს მეფე ჰეროდეს გალილეას, იუდეის ბეთლემს, ბეთანიისკენ სამი დღის მკვდარი ლაზარეს აღსადგენად მიმავალ მაცხოვარს, ნაზარეთში ესმის ანგელოზების გალობა: „მეფე ჰეროდეს შიშით გალილეა ზანზარებს, იუდეის ბეთლემში გაშლილია ცხოვარი. უფლის ანგელოზები უგალობენ ნაზარეთს და ვჰერებ: ბეთანიისკენ ვით მიდის მაცხოვარი, რომ მკვდრეოთ აღადგინოს ხუთდღის მკვდარი ლაზარე“.

ორი ათასწლეულის მერე ეზმანება ანგელოზების მეჯლისი, იოანე ნათლისმცემლის მიერ ქრისტეს მონათვლა იორდანეში: „მეჯლისი აქვთ ანგელოზებს... და მზე თავზე დანათოს მიწას, ცრემლით გალეშილს. ორი ათასწლეულის მერეც ვხედავ თვალნათლივ: იოანე ვით ნათლავს ქრისტეს იორდანეში“ (ხილვა: ნათლობა იორდანეში).





ერთ ლექსში იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს პერსონაჟებს ჭვრეტს ჩვენი თანამედროვე პოეტი: „... და ვით ბერი ზოსიმე ჭჭრეტ: ახალ ნინოს და დედოფალ ჰელენეს, ვითარცა მარიამს და მართას“ (ვიღებ მითებს და ლეგენდებს).

„ხილვა: საული“ დამასკოს გზაზე ურწმუნო საულს შეგვახვედრებს, რომელიც ქრისტეს სახწაულით მორწმუნე, მაცხოვარზე მლოცველ და მსახურ დვთის მონად გარდაისახა: „დამასკოს ძველ გზაზე მაგალს, ბრძა ურწმუნოს ვხედავ საულს, მერე პავლედ გარდასახულს: მაცხოვარზე გულით მლოცველს, უფლის მონას და მის მსახურს“.

ასევე უხილავს პოეტის სულის თვალს მაცხოვრის ჯვარისმტვირთველი სვიმონ კვირინელი (ხილვა: სვიმონ კვირინელი).

პროფ. ლუარა სორიძია

გაგრძელება შემდეგ ტომში



მარულა

ხევსურის გოგო არაგვის პირას,
ლოდს თუ მცირე ბორცვს
შეფარებული,
შორით ისმენდა აყალ-მაყალს,
წვიმდა თუ თოვდა.
არრას ხედავდა,
მაგრამ თავის შეყვარებულის
ცხენს,
მარულაზე,
ფლოქვის ხმით ცნობდა.

1971

უხილავის და ხილულის

ადამის ძევ! –

მოსვლის დღიდან,

აქ –

სიცოცხლით იხდი სასჯელს.

ცის ყელში ხარ გახირული,

შენ ერთი ხარ მოდარაჯე –

უხილავის და

ხილულის.

1964



მბზაპრობა ქვეპრელში

სტიქსის¹ ტალღებს მიაპობს
ოქროს ნაფი ქარონის²,
შორით მოჩანს ჭიშკარი –
უკვდავებით შემოსილ –
დიდი მეფის ჰადესის³
აი, ახლა იწყება გზები უდიადესი –
პერსეფონეს კი არა,
ველი ასფელდელოსის⁴.

1961

1 – სტიქსი – ქვესკნელის მდინარე.

2 – ქარონი – ქვესკნელის ბებერი მენავე.

3 – ჰადესი – სამეფოს მპრანებელი.

4 – ასფელდოსი ველი – უსამანო მიწისქვეშა სივრცე.



ცვალებადია წუთისოფელი
და როს შორდება კაცი
წვალებას,
ვტირივართ...
როცა უნდა ვმღეროდეთ!
რადგან ზეცაა სულთა საუფლო –
პირადმა ვაწვენთ მიცვალებულებს,
რომ მარადიულ ცას
შეცქეროდნენ...

2004



შენი სიტყვის „სითავხედებ“ –
ბევრი „ბრძენი“ შეაშფოთა!
ისე, როგორც ავთანდილი,
თეთრონს ხელად დააგელვებ...
მაგრამ მაინც,
ვითა შოთამ,
„შიგან შენთა საბრძანისში,
ვერ აძოვე თხა და
მგელი.“

2012



მთები

მოქათქათე ზეწარზე
წვანან მოები –
ორსული,
თავზე დაციმციმებენ –
ოქროს მნათოა
გუნდები.
შენ კი ციდან მოსული,
ისევ ცაში ბრუნდები!

2005



გეპყრა რწმენის მსხვილი,
სალი კლდისგან ნათალი
შენ...
ისინი სხვას ბჭობდნენ!
და... ებრძოდი „საბჭოეთს“
ციკლოპივით ცალთვალას.

1989



(ვარიანტი)

გაუმარგლავ ცის ყანაში,
კვლავ უტარო მთვარე მოჩანს,
როგორც თოხი —
ოყიანი.
შენი სიტყვა ზღვა არის და...
შენი სიბრძნე —
ოკეანე.

2012



„პოლხურ ფსალმუნთა“ –
ფრთხი მიგაფრენს...
არა ჩანს იგი,
ვინც დაგეწევა!
და რომ ამოდის მზე –
ცის სულია.
იმ ბილიკს მისდევ,
ვითა მწევარი,
სადაც არავის არ გაუვლია.

1971



ՕՏԵ, ԹՐՅԱՐԿԸ ՉՆՈՒ

Տոքյան Մյենո պազալո,
օտ Տօծրմեց դա
օտ ձյրա –
Սովորություն Մյեսամուսօն.
Դա օտք,
Յոտ ռեսօն,
Մյենց „մյեթյալյալյան“ –
Օգաջուրագ.

1986



0სეპ ბაგილონი

დუღს და გადმოდუღს ბაბილონი...

და სანამ ღმერთები გაძლებენ –

მიჰყვება ბიბლიის

თემშარას –

დვთაება მარდუქის* ტაძრები!

„ეთემენანქი“,

„ესანგილა“,

და „ეშარა“.

1979

* მარდუქი – ბაბილონის მფარველი დვთაება (ძვ.წ. VII ათასწლეული).



„გაუა ეგრისებლის, როგორც ნიჭიერი

მგონნის სახელს მაღვ მთელი

საქართველო გაიგებს...“

ოოსებ ნონე შვილი

1961

ლექსის ყოველი სტრიქონი
ჰგავს მნათოა თვალის
ახელას.

ან ზე-ცას,
მთვარის ბარძიმით.

რა მსუბუქია...

რა მძიმე!

ტარება „მგონნის“ სახელის.

1961



მთვარის პალოზე დაბმულია ცა,
გითარცა კრუხი,
და თავს არიდებს მეტეორებს,
ჭექას და ჭუხილს!
მზე როცა ჩავა,
ვარსკვლავების ოქროს
მარცვალს,
საკუნკივით დაუყრის მწუხრი.

1960



მოგიტანიათ სულიერებას პირზე
(ზოგ-ზოგ მეგრელთ მოძულეთ!)

ცერად უცქერით ცოტნეს გმირობას!
არც ჰყონდიდელი,
და აღარც მინჩხო.
არც „ზარი“ სვანურ,
მეგრულ ენების!
მოგიტეხიათ სულყველას კინჩხო,
რადგან კოლხეთის
გზარავთ ხსენება!

1993



ხარის რქა

დაქ,

ათასწლეულებმა

იალონ და

იბოლონ...

მზეს ცა ჰქონდეს ხარიხად.

შენ,

ვით მთვარის სიმბოლო,

თავზე გედგას ხარის რქა*.

1963

* ხარის რქის ქულტი (შუმერი) – „სამარის ქულტურა“
(ძვ.წ. VII ათასწლეული).



ისეგ “იშმან ნათელი”

მგრგვინავ ათასწლეულების –
მკერდს შეუშვერს
ქარს და დელგმას,
ბევრი ღამე-ნათევი.
დაგადგება თავზე –
ძეგლად
შენი „იქმენ ნათელი!“

1993



ღრუბლების მცირე ბორცვზე
შემომდგარი.

მთვარე,
თითქოს-და საკაცეა.
სადღაც მივიწყებულ ოხვამესთან¹ –
სითეთრეს ლოცულობს
აკაცია...

მიწაზე – მოკვდავების ისმის მოთქმა,
ცაში – ვარსკვლავების კარპაცია².

1960

1 – ოხვამე (მეგრ.) – საყდარი, სალოცავი.

2 – კარპაცი (მეგრ.) – სიცილი, კისკისი.



ხელმიწი ბილგამეში

კოლხთა დიდი წარსულით
მე ვარ ისევ მშიერი
და ზაფხულის ბნელ-ღამეში
მესმის მოთქმა,
გოდება
შუმერთა ნაშიერის –
დიდ ხელმიწე –
გილგამეშის.

1960



ღრუბლები

მოულოდნელად მწუხარი დარეკავს,
ჩინჩხვიან ძაძებს
ჩაიცვამენ და
ატირდებიან ჩემი ღრუბლები.
მერე „კოლხური ფსალმუნებივით“
სამარადისოდ
მიჰირისუფლებენ...

2013



პუნქტი და დაცული

ცავა —

სულთა სასაფლაო,

და მიწაზე ნუ ელიან

ველს —

მთიებით დათესილს.

პოეზია —

დუელია:

პუნქტინის და დანტესის.

1999



მზის შვილი და მზის ნაშობი,
იქ არესის –
ლურჯ ჭალაში,
კვლავ დარაჯობ „ოქროს საწმისს“.
სად აეშვი,
იქ დაები!
ქვეყნის სასრულსა და
საწმისს,
ისევ უბნობ იგავებით.

2009



მეცნიერება და განვითარება

პოეზიის ედემი –

სულ მთლად გააჩანაგეს,

მიტომ ხალხი აზვიროდა!

მაინც ვიღაც ყრუ-მუნჯი,

დიდ „საქმეებს“ განაგებს

მეფეთა და

გაზიროთა!

2013



ცაა – სულთა პავშირი

შოორს –

სინათლის იქიდან,
ბნელს წვავენ,
დღეს ანთებენ,

რაც დამეებს ახშირებს.

მზეა –

გონის ნათება,

ცაა –


სულთა კავშირი.

1969



ათასწლეულთა ქარები –
მღვრიე წარსულში გარწევენ...
ერთად ცეცხლიც...
და ბოლია...
ლეიძლს კვლავ გიპორტნის
არწივი,
ქართული სიტყვის –
გოლიათს!

2009



მურიცხები

დამის იქით,
სვეროთა,
ყრია ნაყარ-ნუყარი...
ზე – სამყაროს ამყარებს
ჰარმონია –
რიცხვების,
ნათება – მურიცხების*.

1969

* მურიცხები (მეგრ.) – ვარსკვლავი.



0სრაელი ბგ. ფ. V საშპზნ

ბაბილონმა ბრძანა და...

ერთიანად მოისრა

ხალხიცა და ტაძრებიც –

ბრძენი სოლომონისა!

და დავითის –

„ფსალმუნებს“

ქამი უდგათ გლოვისა.

1989



პსთვრი

ეგვიპტის უდაბნოდან მოსულები,
ქრისტეს მწამებლები
მისტირიან
მას,
რაც მათთვისაა ენიგმური!
მთვარე,
თითქოსდა ესთერია*,
სპარსულ მოსასხამში
შენიღბული.

1972

* ესთერი – ტავე ებრაელი ქალი (ძვ.წ. V ს.) რომელიც
სპარსეთის დედოფალი გახდა.



გარსპგლავები

მზის ფეხის ხმას გაექცევა
ნამი,
ჩამოიხრჩობს თავს ალუბლის
ტოტზე –
პაწაწინა სხივთა ოქროს ყულფით.
ციდან მიწას ჩამოსძახებს
ღა ღ ღ ჰ:
ვარსკვლავები –
თვალებია უფლის.

1964



ასეა წუთისოფელი,
არყოფნის ცოცხით
მიცოცხავს
ყოფნას კარგის და ნასების.
გერ დამშვიდდება
სიცოცხლე,
სანამ სიკვდილი არსებობს.

2010



პოეტს?

რა ვიცი!

მაგრამ ვით რაინდს,

რა ვქნა!

არ გეთქმის შენ საყვედური, —

აპოლონივით გუდავდი პითონს.

და...

ბედნიერი,

ბედს არ ემდური,

მაგრამ შენ..

ბედი გემდურის თვითონ.

2001



აპრაში და ნოე

(ვარიანტი)

ტაძრები კი ლოცვად დგანან...
ირევიან სიზმრები...
და ცხადები...
ირგვლივ სუფევს სიმყუდროვე!
და ვით აბრამი
და ნოე,
წუთ-წუთ ელი უფლის
გამოცხადებას.


1969



იქმან ნათელი!

მაშრიყიდან –
მაღრიბით,
ვითა უცხო ფრინველი,
მიიწევა იდუმალ –
შენი ხმის იმპერია...
და... იქნება პირველი
„ეგრისელის პრემია“.

1993



მცხვთა IV საჟაზე

ყველგან ქრისტეს რწმენა
მირიალებს,
მცხეთის ჭალაა თუ
მინდორია.

არაგვის ტალღები ჩურჩულებენ:
— წმინდა ნინო...

და მირიანი...
აბიათარი და სიდონია...

1964



გითა მოსე ჟამს
სიყრმისას,
წყვდიადით ხარ მოცული,
ეწაფები მზის ღვინოს!
რომ ნათელი იხილო,
ეხლა მისთვის
ლოცულობ.

1962



მეცხრე არა,

მეცხრამეტე –

ზეცის რომ ხარ ბინადარი,

შენ კი არა, სხვებმაც იგრძნეს.

და ამაზე უკეთესს ადგილს

ვინდა მოძებნის?!

უნდა გაუფრთხილდე სიბრძნეს

უფლისაგან ბოძებულს.

2013



შიშით მეფე ჰეროდეს,
ერთად უცემს ერთი არა,
ოცი გული —
ბეთლემსა და წმინდა დედა
მარიამს.
და რომ ადის ცაში ლოცვად —
ზირაქია და
პავლეა მოციქული,
და ორივე სულიწმიდის ქნარია.

1977



მოულოდნელად ჩამოქურუხდა,
და როცა სივრცეს
თვალებს ვავლებდი –
ვნახე ღრუბელი ელვით სახე
დაჩხაპნილი და
დაკეჭნილი.
მერე მწუხრისას ცამ დასავლეთის –
გზე კვლავ ჩააგდო ზღვაში
ჯენჭივით.

1960



მუზარადი გვეხუროს და,
პერანგი კი ჯაჭვის გვეცვას,
მაინც გაჭრის „ის“ თუნდ
ბლაგვი დანით ჭრიდეს!
სანამ აქ ვართ, დავისახოთ
მიწა –
ზეცად.
რომ ცხოვრება მერე აღარ
გაგვიჭირდეს!

2001



ნუდარ გაკრთობს მონისლება,
ნეტავი ბედს რად ემდური?!
ჩემო,
შენი „ფსალმუნები“,
სულ სავსეა ბივრიტით¹ და
ონიქსებით²,
ვით აარონის სამკერდული³.

1994

1, 2 – ძვირფასი ქვები.
3 – სამკერდე დაფა.



Յօ –

Տարյայ,

Թօֆօ –

Տաշարը եյլո.

Ժարօ...

Ծյյյծո ջահյիլո...

Ծա՛յցարը ենյլո.

1962



სარგა – ბატა

ყველგან „სამოგზაუროდ“

ისე,

როგორც „სარგა-გატა*“

როს ცა – „ცათანს“ შეუვლი,

შენ,

წინ შემოგეგება –

სულიერი ზეცა და...

სულიერი სხეული.

1969

* „სარგა-გატა“ – სხვა პლანეტებზე მოგზაურობის
მსურველი.



ნათლის სვეტად ჩამოსული,
ჭეშმარიტად –
ღვთის რჩეული;
ამომტანი ზღვიდან მარჯნის.
ამაყი და
ღირსეული,
შენ დაჯდები შოთას მარჯვნივ.

2014



ვითარცა გვმოძღვრავს ექლესიასტე,
აღარ ძალგვიძს ცის
გამოკიდება!

და ბოლოს გველის გარდაცვალება!
აი,

რა არის ჩვენთვის საჩინო.
ამაქვეყნიურ წვას და წვალებას,
სიცოცხლემ არა,
სიკვდილმა უნდა გადაგვარჩინოს.

2009



ქართული სიტყვა ბრიალებს ალიგიოთ
და ერთურთს მისდევს –
სტრიქონთა ქარავანი;
ისე, ვით ყიუინა საგების.
და, როგორც ახალი იერუსალიმი,
შენი პოეზიის გალავანი,
სულ იასპის ქვითაა
ნაგები.

1982



სიცოცხლის ხე რწმენას შრიალებს,
ურჯულოს
ფოთლებით აალებს
და უნასს ახლოს არ იგარებს!
„იქმენ ნათელი*!“ –
კოშკია გრაალის,
უფლის დაკიდული –
„სამი კარით“.

1993

* იქმენ ნათელი – პოეტის ათასგვერდიანი ერთტომეული
(1993 წ.).



სამი მმა

ჟამთა მღვრიე დინებას,
ერთად უთხრეს არული
და სამყარო ფარულად,
ისევ პყავთ მონუსხული!
ესენია სამი მმა:
— დიდი „ასომთავრული“,
და მერე კი „მხედრული“
თავის „ნუსხა-ხუცურით“.

1971



დმერთებმა მარადისობა გაიმეტეს,
რადგან შენ ისინი
გყვარებია.
შენი ლექსები აიეტის –
სპილენძის ჩლიქებიანი ხარებია,
რომლებიც შენი ძველი
კოლხეთის –
დიდ წარსულს ხნავენ...
და თესავენ –
სიცოცხლეს,
სიყვარულს და
სიღამაზეს...

1964



ურწმუნოთა შიშოვალით
იყო ცა გათოკილი,
მაინც რწმენა წვეთავდა,
ციდან კაბადოკის.
საუკუნე საუკუნეს –
გრაალით მიჰკიოდა,
ისე,
ვით ეშენბახი,
ეზოტერულ კიოტას.

1999



ა. ა. ს.

აიეტის კოლხეთივით –
გაუძელი წვას და
ჯვარცმას...
სანამ ცეცხლი ალს მოგცემდეს,
ხელწაღმა ყრი –
ოქროს მარცვალს,
რომ მთიები აღმოცენდეს.

2004



ოქროს ფრთიანმა შენმა პეგასემა,
პარნასის არა,
მთიდან – ჩე გოლას,
გადაუფრინა კლდეებს,
ქარაფებს,
ჩემო,
აქამდე იყავი მიწის,
აწი იქნები –
„ცის მოქალაქე“.

2013



ვით წინ ათასწლეულების,
როგორც ქალდეას და
ქანაანს,
დღესაც უხილავის ხელი,
გიჭერს რწმენის აპეურებს.
შენი სიტყვა მზის ყანაა,
მანანაა ზიციური,
გშივრები რომ დააპუროს.

2009



გ. ხ.-ს

გისაც შენი სიყვარული
სჭირს და ვეღარ
განიკურნა
და წვავს ტრფობის ალმური,
მას უბრუნებ ერთს,
ათასად...
გიხარია, რომ შენს მსგავსად,
სხვა ვიღაცა დარღიანად,
გალობს „კოლხურ
ფსალმუნებს“.

2006



შენს ცის ქვაბში ნაადრევად
თუ გაავდრდა და
გაწვიმდა
და დღე გახდა იაფივით,
მაშინ შენი სულიწმიდა,
უკელგან სიბრძნედ
მიაფინე.

2009



იხე,

ვითა სპეტაკმა,

სიყვარულის თოლიამ,

შენი სიბრძნის გრიგალმა,

ძველ ქოლხეთის –

ხვალისთვის,

ბევრი გაიყოლია.

2001




შვიდი ათასწლეულის
მერე, ისევ იელვებს
სიყვარულის გრიგალი...
შენც...
ვით ეზიკიელი,
ზიხარ პონტოს ზღვისკარად
და უშქარი წელია,
აიეტის კოლხეთს რომ
უფენ მზეს და იგავებს.

1974



გრაალის ხსნის წადილმა,
პვლავ გაქცია –
ფაიერფიცად!
ცის ტაძარში ლოცვად ანთებ –
დვოივ პურთხეულ
„იქმენ ნათელს!“
ვითა მოსე "სჯულის ფიცარს".

1993



ოუ ჩემი წერა-მწერალი,
ვით ბადრის,
უსუპს და
ამირანს,
მიმაგდებს სადღაც ჩაბალხეთს,
და... დევთ ვერ დაგცემ
ნაღარას!
ვიყო ამქვეყნად აღარა...
კოლხთა წარსულში დამმარხეთ!

2014



მთავი

გავარდა მეხი...

და სამყარო შეზანზარდა...

თითქოს ელოდა იგი ჩემს

ნიშანს –

მოწყდა ლოდი და ჩემს წინ გაჩერდა!

სიკვდილი –

თვალში შემომაჩერდა,

და გამიხარდა,

რომ ვერ შემნიშნა.

1976



ლოცვით მორწყულ ცის მინდორზე,
უხილავი მნათებს თესავს...
შეკრთა მთვარე –
ზე – აფრინდა.
ქერუბიმთა¹ ისმის მესა²
და გალობა სერაფიმთა³.

1961

1 – ქერუბიმი (ებრ.) – უმაღლესი რანგის ანგელოზი.

2 – მესა (ლათ.) – წირგა.

3 – სერაფიმი (ებრ.) ქრისტიანულ რელიგიაში ექვსფრთიანი
ანგელოზი.



ენდიზ და გილგამეში

(ვარიანტი)

ამქვეყნიურ უკვდავებას,
დიდი ბრძოლითა და
ოხვით,
რომ ეძებდნენ ბნელ დამეში –
წინაპრები იყვნენ კოლხთა –
ენქიდუც და
გილგამეშიც.

1962



პოეტს პლუტონზე* ბინადარს,
იმედი გქონდეს შენი ცის,
დღეებიც უნდა „გაწურთვნო“!
თორემ მიწიერი საწურო,
წამი და...
სიცოცხლეს –
სიკვდილით შეგიცვლის.

2012

* პლანეტა – პლუტონამდე ექვსი მილიარდი კილომეტრი
არის.



ვით ლუქას და იოანეს,
კაცს დგთისმოსავს და
იღბლიანს,
მთვარე გყავს ვითა ძმობილი.
და... „პოლხური ფსალმუნები“,
ვით ბიბლია,
სული წმიდითაა განბრძნობილი.

1994



სიცოცხლე და სიყვარული,
გინაც ერში დათესა
და სწყალობდა მზე –
ქარიტის* –
ის შენ ხარ და...
საქმე შენი ჭეშმარიტი,
სიტყვა –
სვეტი ნათლისა!

2001

* ქარიტა (ბერძ.) – სილამაზის ქალღმერთი.



ადამის ძისთვის რაც მთვარია,
უფალი ჩვენთვის ცოდნას
იმეტებს
და მაინც გვმოძღვრავს ბრძენი
ესია:
უნდა პატივი რწმენას,
იმედებს,
მაგრამ ტრფობა კი უმეტესია.

2001



აიეტის დიდ კოლხეთს,
წამით თვალი რომ მოჰკრა,
მზიან ათასწლეულთა –
მღვრიე წარსულს მიაპობ...
პგავხარ ღმერთთან
მორკინალს,
შენ ბიბლიურ იაკობს.

2007



ცისქვეშე მარად მედინი,
ჟამი რადგან იმდვრევა,
ვით ესაია,
მეც ვუბნობ:
„აბა,
ღმერთია ჩემი ხსნა,
ჩემი ძალა და სიმღერა“...

1967



პარშეს,
მერონსა და
თემანს

უფლის მიერ გადანახულ –
სიბრძნის გზათა
ძიებაში –

კვ,
რამდენი დამის თევა –
მოუწია აგარელთა ნაშიერებს:
ბარუქს,
მერონსა და
თემანს.

1973



მარტყოფი, მარაპდა – 1625

შეკრბენ და...
ქართვლის მხედრებმა,
„თამარის დროშა გაშალეს!“
მერე მარტყოფს და
მარაბდას,
თავზალმიანთ –
მცხედრებით,
მთა-ველი გადააშავეს...

1967



სიკვდილ – სიცოცხლის ჭიდილი,
თურმე ყოფილა კორიდა –
მახვილს ლესავენ ელვიანს.
გაჟავ!
იქ შენი ექვსი ძმა
და მათთან კიდევ ორი-და,
ვინ იცის,
როგორ გეძიან...

2014



გარსპოლავთცევა

დამის მაღალი ხიდან,
ისე ცვივა მთიები,
კოსმიურმა ქარებმა,
თითქოს უცებ მობელეს.
მთვარე –
ამოსუნთქვაა,
ალბათ ყოვლისმპყრობელის.

1976



მთაწმინდა,

დიდუბე

მთაწმინდა კარგია!

დიდუბეს იწუნებ!!!

თუმც ათოვს ორივეს

ყვავილთა ფიფქები.

რომ მთავარია —

რომ ერთად იქნებით —

აწ და მარადის ბიძა და

დისწული.

1914



ისეგ ხორბის სასაფლაო

ლოდებზე დავიწყების ხავსი კი
დაცოცავს,
რაც უფრო დრო მიდის...
თითქოს და ხმა მომესმა
სამარიდან –
ჩემი ექვსი ძმის და
ორი დის.

და...

მომეჩვენა სასაფლაომ,
თვალები უცებ ამარიდა.

2013



უგიცები და რეგვნები,
სიბეცესა და
სირეგვენეს,
წამითაც აღარ იშლიან
და სჯერათ სასწაულების.
„რადგანაც უფლის შიშია
სიბრძნე და განსწავლულობა*“.

2004

* ისო ზირაქი (თ. 1, 27, 1, 36.)



შხამით პირვამახული,
გულს ისრები კოდავენ –
ხან მოყვრის და
ხან მტრისა!
შენ კი გრაალს დაეძებ,
ვითარცა ხატს,
ხატისა.

2014



კოლხეთის წარსულიდან,
მოხველ, ვით ენმექარი*,
რწმენა გმოსავს მდიდრული.
მზის შვილი ხარ –
მექანიკა,
მეჩანგეთა სპეტაპი –
„კრავით გამოსყიდული“.

2009

* ენმექარი – შემცრთა მეცნ.



არ გექნება თვალი სველი,
რწმენის სული,
სიბრძნის გრდემლზე
თუ მოპირე,
დღე გეწვევა მაშინ დაუღამებელი,
ვით ბრძანებდა,
იოანე ოქროპირი.

2001



დილის ბინდ-ბუნდში,
სოფლად მამლების,
ყივილმა სივრცე
გადაიწვიმა...
მერე,
შორს,
სადღაც აღმოსავლეთით,
ცაგ,
მზე ქარივით იმშობიარა,
რომელსაც აჩნდა სისხლის წვეთები
და... აულოკა პირმშოს იარა.

1960



ჯოჯოხეთი მიგელის,
წყვდიადი და
ბინდი.

შენი ყოფნის სიგელი —
არის დაბეჭდილი —
ბეჭდით —
სულიწმინდის.

2001



ეპის მთა

იხილეთ ეკის მთა*,
სადაც მთის ქვაბულში,
ჰყიდია მზის ტოლი ღუზა,
რომლის ხნოვანება –
მილიონ წელს ატანს იქით.
რომ აქ პონტომდე,
თურმე,
ოკეანე ღელავდა ატლანტიკის!!!

1963

* ეკის მთა – (სენაკთან ახლო მდებარეობს).



მეცამეტე ცისა და

მნათთა იდუმალებას,

ჩუმად რეკენ ზარები.

მოქათქათე ღრუბლები ჩანან

მთად და სერებად.

დღე ერთია,

მაგრამ შენ,

ცხრაგზის ეზიარები –

„საიდუმლო სერობას“.

1979



გაზაფხული

დრუბლებმა შიშით მხარი იცვალეს,
როცა აპრილი კვირტებს ისროდა,
და მერე ელვამ,
ცას მუცელი ჩუმად
გაუჭრა.
ჭექა-ჭეხილი, ვით ტყუპისცალი,
ამოუყვანა საკეისროთი.

1958



— ალბათ, სულ მალე მოენატრება
დედამიწისთვის თვალის
შევლება —
ცაში ვარსკვლავებს აღმოხდათ
გმინგა:
ვაჟა ეგრისელს რა ეშველება,
სხვა პლანეტაზე
დაიდო ბინა!!!

2009



ვაი პატრიოტები —
ნაშიერნი ერთიან,
"გლეხისგან" და "მუშისგან",
ახლოს არ გიკარებდნენ;
სწორედ მაშინ,
უშიშრად! —
უდმერთოთა ცხრაკლიტულს —
შეხსენ რკინის კარები.

1975



მარტყოფს,
დიდგორს და მარაბდას –
მტერს მეხს სცემდნენ
და ზარავდნენ –
იმ გმირებს ეცვათ რწმენის აბჯარი,
თავზე ეხურათ გამარჯვების
ჯაჭვ-მუზარადი.

1984



დღე და დამის შუა გადებულ –
გადადიხარ მთვარის ბოგას,
ფრთხილობ,
რომ არ გაიღვიძონ
საფლავებში მძინარებმა!
სიწყნარეა...
შენში ბორგავს,
შოთას ვეფხვის მძვინვარება.

2008



თავზე გადგას ნათელი,
არ ჩანს ღრუბლის ნასახი –
ოწმენის შვიდი სარკმლით და
ლოცვით განათებული,
შენ ხარ უფლის სასახლე.

2009




გითა კოლიზეუმი,
მარმარილოს ღრუბლების,
თეთრი იარუსებით,
ზეცა – თეატრია და...
ვარსკვლავები – ოპერა,
სადაც ანგელოზები სცენარს –
ლოცვები ურთავენ...
და... შენ "ფსალმუნებით" კი,
გაახლოვებს რუსთაველს –
"სიბრძნე სოლომონის" და
"სულიშმინდის მობერვა".

2012



პოეზიის ტაძარში,
ისე,
როგორც სიმართლე!
წელმოხრილი კი არა,
მხრებგაშლილი,
ამაყად,
მზისებრ შემოიმართე!

1960



ბნელ ქვესპნელში შობილი,
ქარიშხალი ზღვას ყვარობს,
აკრთობს ხილვა
დიუნის.
"გრაალია" – სამყაროს
გონი –
მარადიული.

1969



მეცამეტე ცის დარბაზში,
ჟამთა მარადიულობას,
ისევ გალობს –
ჟამთა ქორო.
მთვარე კვლავ მინანაობს...
ლეთისმოსავი –
სიბრძნით ცხოვრობს,
ურწმუნო კი ა მ ა თ დ.

2004



ცა –

ქვევრია,

მოკამკამე –

გარსკვლავების ღვინით სავსე.

დილა ახდის სარქველ –

საცობს...

შენ,

მოსკლიდან –

სიბრძნეს ეძებ,

უბიწოს და უთვალმაქცოს.

2005



(გარიანტი)

წვენ როცა გარდავიცვლებით
და როს ჩაიცვლის "ორმოცი",
იმ დღესვე ამაღლდება და
მარადის განსასვენებლად –
წვენ სულს მოელის –
ორმო-ცის!

1983



ვარსკვლავების საჩეჩელზე
ნაჩეჩ ღრუბლებსა და
წვიმებს –
დღეები ცას ართავენ!
უფლის შიში გვაპოვნინებს
სიბრძნის წყაროს –
სათავეს.

1972



გითარც სული,
უსულო,
სიჩუმედ და ქუხილად,
თან გვდევს უფლის ხატება...
მაგრამ სიყვარული კი,
ხილულსა და
უხილავს,
ყოველს აღემატება.

1979



სტოუნებრჯი

მას სინდისი აღარ ქენჯნის,

ამბობს:

ლექსის მეფეა!

მისი ყველა წიგნი არის

სტოუნებრჯი¹

ან გიობეკლ ტეპეა².

2014

1, 2 – 11 ათასი წლის წინათ, უზარმაზარი ქვებით
ნაგები კომპლექსური ნაგებობანი (ინგლისი).



შენი ბედის ვარსკვლავი,
საღდგაც ჩუმად კიაფობს,
მოსურნე იდილიის.

შენ,
მითიურ ეგრის ძეს,
ვით ბიბლიურ იაკობს,
ღმერთთან გიწევს ჭიდილი.

1969



მების ძახილზე,
ელვის ხემს,
ცა როს გადუსვამს სივრცეებს,
წამს,
მთიებიდან მოისმის
ხმა ბარბიოთის და
ებანის,
რომელთაც დაბლა ჩამოაქვთ,
მეცხრე ცის საოცრებანი.

1960



დილის მზისებრ მოელვარეს
ცისარტყელა —
ქამრად გერტყა.
და დამით კი ყურს უგდებდი —
ვარსკვლავების —
ოქროს ჭრიჭინს.
არსოგამრიგემ, როგორ პოეტს,
თავის კალთით დაგაბერტყა —
ტრფობისა და
სიბრძნის ნიჭი.

1989



შოორეული წარსულიდან –
ისმენ ქალდეველთა ძახილს:
– ციო მწყურვალი,
 მზიო მშიერი,
მოსულხარ სხვა პლანეტიდან*
 ჰენ –
 ღმერთების ნაშიერი.

1965

* იგულისხმება XII-ე პლანეტა – ღმერთთა და
ნახევარდმერთთა პლანეტა.



30-ე პარალელი

დაგიწყება პირს არიდებს
უფლისგან ნაკურთხევ!
ჩინურ კედელს,
და ეგვიპტის პირამიდებს
და ბერმუდის –
"სამკუთხედს".

1968



ისევ ჰყვავის ედემ ბაღი,
მაგრამ საყდრულ სიჩუმეში –
არ ჩანს ადამი და ეგა.
სივრცეს ფერი დაჲკრაგს ლილის.
შენ სიცოცხლის –
ხეზე ზიხარ,
დღეებს ბერტყავ გაკალივით.

1979



ცივი სიშორით გადახურული —
გარსპელავები —
არის ტაძრები.
მზე — უფალია ცეცხლით მოსილი.
და მოქათქათე —
ღრუბლის ფთილები —
ლოცვებია ანგელოზების.

1960



შორი ათასწლეულების –
უდრანებში ისევ ვეძებ
და კოლხეთში –
ლეგენდიდან,
კვლავ მოვლალავ ოქროს რქიან
ხარებსა და ოქროს ვერძებს...
და "ფსალმუნებს",
ვით საგანძურს,
საქართველოს ვუანდერძებ.

1995



მნათობებში ანთია —

ღვთივ სიმწვანე კედრების,

მღვრიე ქამთა დინებამ,

რომელიც ვერ მონისლა.

ბიბლიიდან მოისმის:

— ვერარა შეედრება —

სიბრძნეს სოლომონისას.

1963



ჯერ კიდევ შორს აქვს სავალი

და...

თუ იქამდე მივიდა!

გრაალის ოქროს სანათით,

განთიადს –

გამონათებს –

კოლხთა წარსულის მღვიმიდან.

1967



ტიბროს – მივრატ – ზაზისი

კოლხურ შტოს ექუთვნიან –
გენით უძვირფასესი,
ერთი ძმა და
სამი და:

კოლხოსის ძე – ნილოსი,
ტანწერწება – ევფრატი,
ტიგროსი და ფაზისი.

1977



ისეგ “იქმნონ ნათელი!”

მშობლიური ცის ჭერქვეშ –
დამე თეთრად ნათევი,
სიყვარულით სწეული –
შენი "იქმნე ნათელი!"*
(უნდა გავხსნა ფრჩხილები:)
შორეთიდან მომავალ
ცბიერ ათასწლეულებს –
გულზე დაადგებათ და...
ყელშიც გაეჩხირებათ!

1993

* "იქმნე ნათელი!" – პოეტის ათასგვერდიანი ერთტომეული,
რომელ შიც 2000-მდე პოეტური ქმნილებაა დაბეჭდილი.



პოლიტიკა და ლაზ-მეგრელებს

ლათინური??

არც სპარსული,
დამწერლობა "ლურსმული",
მღვრიე ათასწლეულებში,
რომ არის გალურსული
(რომელსაც მე ვუმღერე!)
შტერი კაცობრიობა,
პირველ უნდა უმადლოდეს –
კოლხებსა და ლაზ-მეგრელებს,
ე.ო. შუმერებს.

1979



ასი არა,

მირიადი,

შენში ოქროს მზე დაირწა,

მაგრამ მაინც მიწა მათზე

არ გაცვალე!

თუმცა ჩემო!

სამყაროთა სიმრავლეში,

დედამიწა,

ისე მოჩანს, როგორც ქვიშის მარცვალი.

1973



ვარსკვლავებით მოკვარჩხალე
დამის ქვაბში –
ბრუნავს ჟამთა მორუევი,
დღეები ხსნას ნუ ელიან!
ეს – სიცოცხლე, ის – სიკვდილი,
პოეტისთვის ორივე,
აქ არყოფნის –
დუქლია.

2013



შსურვაზი

ტქი –

ბაბილონის გოდოლივით
ცისკენ მზირალი,
ლოცვით მიჰყავდა მაღლა
უსურვაზე*.

ჩუმად ამცნობდა ფოთოლს –
ფოთოლი,
რომ ტქემ მას ღმერთის ნახვა
უსურვა.

1964

* უსურვაზი – ბაბილონ, გარეული ვაზი,
("ველური ყურძენი" – საბა.)

გაგილონის გოდოლი

ღრეობენ... და ირყევა
ბაბილონის გოდოლი.
ქუხს სიმღერა,
ვაშაცა...
ამ დროს მაღალ კედელზე –
უფლის ხელის მტევანი
ქალდეურად წააწერს:
დღეს სიკვდილი ეწვევა –
ნაბუქოდონოსორის ძეს –
ხელმწიფე ბალ შაცარს!!!
რასაც არვინ მიელის,
და რომელსაც კითხულობს
მენცარი დანიელი.

1969

ძერების და ყვაველორნების
ბახალები და ქარდები,
გაგვითხრიან ბოლოს ხაროს –
ამაქვეყნად ყოველივე
განქარდება,
მიწამ უნდა შეგვიწყნაროს.

2009



არყოფნის ციდან ჩამოსულები

პპლაპ,

აქ, არყოფნის ცას

შევციცინებთ...

და პირს ვისველებთ წუთისოფლის

მწარე ნაყოფით.

სულ მოლოდინის ვსხედვართ

ტოტებზე,

სანამ აგვიშევს ქარი –

არყოფნის.

2010



ნოვენი

ფაზისივით მშეფოთვარე,
რომ გადმოდის ნაპირებს,
ძველ – კოლხური გენია.
შენი "იქმენ ნათელი"! –
გონის ნოუმენია*.

2001

* ნოუმენი (ბერძ.) – ჩასაწვდომი, მისახვდირი.



ზეციურ საუნჯეთა –

შენ ერთი ხარ მფლობელი,
მაინც არჩევ ანონიმს!

და ვით ბრძანებს ფლობერი:

პოეზიას განაგებს –

ღვთიურ "რიცხვთა

კანონი".

1994



შენი ცა კი,

შენი ცა კი,
სხვა ცაა!
მზეს და მთვარეს სამოსი
ოქრო-ვერცხლის აცვია,
მიტომ ელი ღვთაებრივ
სულს და
ემანაციას*.

* ემანაცია (ლათ.) – რელიგიური – ფილოსოფიური
ტერმინი – აღნიშნავს ღვთაებრივ საწყისიდან მთელი
მრავალფეროვნებით გამოსვლას, გამოსხივებას.



მთათა მიღმა მთიები

"დავლურს" ჩუმად უვლიან...
სადღაც ღამის მღვიმეში
მოჩანს მთვარე – ნალევა.
ნეტავი ვინ გამოვა მნათობების
თავსხმიდან?!

ო, რა სასწაულია –

სიბრძნის წყაროს დალევა –
"კოლხურ ფსალმუნებიდან"
ან "გრაალის" თასიდან.

1994



რისხვა ათასწლეულთა –
გაწვიმდეს და
გათოვდეს,
გაწვდეს ცეცხლი აღური!
მაინც უნდა გახსოვდეს,
მგზავრობა რომ მოგელის –
შორი და...
ახტადლური*.

* ახტადლური (ლათ.) – ვარსკვლავისებური, ცის
სხეულებთან, მნათობეთან მისტიკურად დაკაგშირებული.



სიამაყე მთებური,
დიდი წინაპრებისგან
საგზლად გამოგვოლია:
ქართულ სიტყვის მებადურს,
ქრისტეს მხედარ –
გოლიათს.

1993



ლექსებია – პერვანული

პოეტების ქვეყანაში –

შენ,

დიდ პოეტობას ჩემობ!

და ყასიდად ბედს ენდური,

რაღგან იცი –

"ციცქნებია",

მაგრამ ჩემო,

ლექსებია – პერმეტული*.

1993

* პერმეტული – პეტრების უფალი (ლეგენდარული ეგვიპტელი ბრძენის – პერმეტ სამგაზის უდიდესი სახელის მიხედვით.)



ომილება ეფრემსა და პავლეს

პვლავ ისუნთქავ სიხარულის

ცის "მონაბერ"

ოქროს ქარებს –

შთაგონების მადლში ნავლებს...

უშრეტ –

სულიწმიდის ქნარებს –

წმინდა ეფრემსა და

პავლეს.

1968



აპოკალიფსური რიცხვები

დავიწყებას და სიშორეს
მიკარგულნი,
მკვდრის მზეს და ნათელს
მიფიცხებიან –
ცაში მოციმციმე
ვარსკვლავები –
აპოკალიფსური* რიცხვებია.

1962

* აპოკალიფსური (ბერძ.) – საიდუმლოებით მოცული.



შენ ქოლხი ხარ,
რომელიც,
დელგმას ათასწლეულთა
ერკინა და
ედავა!
წინ იარე ნიადაგ,
უპან მოუხედავად...
მობრუნება არა ღირს!

2012



შენ,

ნაშიერო იბერის,

რატომდაც დიდი გეგონა,

მცირე ყოფილა სამყარო!

შემოგეხვია სიბერე,

ჩემთვის ეზოვ და

სახლ-კარო!

2014



კოლხეთს და ბაბილონს,
არ უჩანს ბოლო და
სათავე!
შენ კი ხელო გიპყრია,
ვით მარდუქს,
ელვა-ცის ოქროს
სადავე.

1968



ზაგროსის მთიანეთი

ზღვაში ათასწლეულთა –

ხსოვნის ზღვაში

შესცურე,

გულიც გაიმზიანე.

ჭვრები: ზაგროსის მთიანეთს*,

როგორც ფშავს და

ხევსურეთს.

1964

* ზაგროსის მთიანეთი (მესოპოტამია) – "კალაბ-ჯარმოს" კულტურა (ძვ.წ. VI ათასწლეული).



შორეული წარსულიდან
მოსულმა წინაპრებმა,
ცხრა ზღვა და ცხრა მთა
გადალახეს...
და აი, ახლა,
ამაღლებულებს ბორცვებად
შემოსევიათ ბალახი –
სამყაროს საოცრება!

1962



უდმერთოდ რომ იარები,
აგ,
გამიშრო ამან სისხლი!
ეშმაკებმაც მიგატოვეს.
მაგრამ ღმერთმა რომ მოგხედოს,
წამი რაა...
გეღარ იცდის.

1979



ცა გელის ცის ბინადარს,
მაგრამ მიწა მშობელი,
ლტოლვას ოდნავ გინელებს.

აღარა ხარ ჩვეული ქლესას
და პირფერობას.

შენც,
ვით ნილოს სინელი,
დღე-ნიადაგ ცხადსაყოფ –
საიდუმლო სერობას.

1989



გაწვალებს კოსმოგონია*

(არა ღირს ფიქრი ამაზე.)

უშნო იყო და....

სამყარო,

შენი აქ მოსვლით,

მგონია,

ცოტათი გაალამაზე.

1960

* კოსმოგონია (ბერძ.) – სამყაროს წარმოშობა.



ქორიბის და სინას მთის

ღმერთმა უწყის, რომ შენ ხარ
მლოცველი და
მხილველი –

ქორიბის და სინას მთის.
უფლის –

მეცამეტე ცის –
მარადიულ სინათლის.

1964



ცეცხლის ფრთიანი ელგის პეგასით,
ღამეთა იქით —
გინდა მოკურცხვლა
დღეები იწვის, ვით ტყე უსურის.
ვერ გაფრინდები,
რადგან კოლხურ ცას,
ხარ მიჭედილი და
მილურსმული.

2010



პონტოს ბობოქარ ზღვას გასცეკეროდა
და უბედობას ტიროდა ბედი.
ცას ფერი ედო ჟამის და
გეთრის.
სოფლის შარა-გზის გუბეჭი ეგდო,
მთვარე ისე, ვით
"კოლხური თეთრი".

1955



ძველ კოლხეთის სანაპიროს –
მოადგება უცებ არგო
და გადასწევს ღამის ფარდას,
მითის აკვანს ზღვა დაირწევს.
გაიოცებს წამით ცა
და
ელვის პირჯვარს გადაიწერს.

1954



მეცხრე ციდან ჩამოსული –
ყველა შენი საესავი,
სიყვარულით გსურს
დალახვრო.
და დვთაებრ "ოქროს ნავით" –
ცოდვის ზღვები –
გადალახო.

1959



თათჟ

ათასწლეულების მერე,
ფაზისის და ნილოსის,
ძმობა ისევ შემახსენეს –
წარსულ დღეთა გრიგალებმა...
აი, ეხლა,
პონტო დუმს და...
ზღვა კი მარმარილოსი,
კოლხ თათუზე*,
კვლავ რაღაცას,
ჩუმად მეიგავება.

1962

* თათუ – შემდგომში ნეფერტიტად წოდებული, ეგვიპტის ფარაონი.

ღამის იქიდან ისმის ძახილი:

– ნუდარ ჯიუტობ –

ვაჟა ეგრისელ!

ძალით კი არა,

წახვალ იქ ნებით.

აქ დასვენებას ვეღარ ეღიორსე,

მგონია მშვიდად –

არც იქ იქნები!

2015



პოლხეთში,

ზღვისკარად გაზრდილი,

შენ მოგკლა ვარსკვლავთა
იარამ.

ქართული მიწა –

გულზე დაიყარე!

და...

მაკედონელივით ხმლით კი არა,

დედამიწა ბალახივით –

სიმდერით დაიპყარი.

2014



ვარსკვლავებს იქით...
და მზესთან ახლოს,
დგახარ და ლამაზ
ათასწლეულებს,
ვით ფარაონი, ტანზე იზომებ...
და შენ,
შენს ობოლ კუნძულზე
სახლობ,
მარტოსული და
მარტოხელა,
ვით რობინზონი.

1981



გათხვება

მოვარე მიდის აღსავლით,
ვარსკვლავების მაყარით.
და გუგუნებს ზესკნელი,
ვით სკა ახალ-ნაყარი.
ცა-რა მშვენიერია,
მაგრამ მაინც უმზეოდ,
ჩირად არ დირს სამყარო.

1958



ခတေသန

ဖျင်း ဂာდာမို့ရှင်း –
ကာဒ်ပာသိုး မတွေ့ပါသူ့၍ –
မိမိရှုံးလာသူ အရှုံးကြီးမာ.
အ မ ိ ု ရ အ န ။ ၆ ၂ –
လျော့လျော့၊
တာဒ္ထာ ဂာდာမှုံးကြီးမာ.

1960



ერთი გარსპოლავი

(ვარიანტი)

სივრცეები რომ თვალს გაახელენ,
შენ გიხარია სადღაც,
შორეთში,
ერთი გარსპოლავი* რომ გაქვს "ნაპოვნი",
რომელსაც ჰქვია შენი
სახელი

და...

მას მფარველობს აფროდიტე
და აპოლონი.

2007

* 2007 წელს მსოფლიო ასტრონომთა ასოციაციის
გადაწყვეტილებით ვაჟა ვერისელის როგორც
ასტროლაბრი პოეტის სახელი ეწოდა ახალ აღმოჩენილ
გარსპოლავს. გაზეთი "ლიტერატურული საქართველო". 6
ივნისი, 2007 წელი.

მაღალია შენი ცა,
ყინვაა და...
დიდოოვლობა...
მაგრამ დმერთი გმფარველობს,
როგორც პოეტ –
ასტრონომს,
ასტროლატრს და
მითოლოგს.

1993



დაბატიხეს რისხება ზევსის

მიწის არა, ცის ბინადარს,
დიდი "მოლოდინის" * მერე,
დაგატეხეს რისხვა ზევსის!
რადგან ჩემო!
პოეტებში,
კითარცა პერმესს,
შენ ხარ სამგზის უდიდესი.

1988

* "მოლოდინი" – ასე ერქვა 1988 წელს, გამომცემლობა
"საბჭოთა საქართველოს" მიერ დიდი ტირაჟით გამოცე-
მულ პოეტის ტომეულს.



ნიკოფსიიდან –

დარუბანდამდე,

ქართველი მიწას ხნავდა,

ბარავდა!

რა დიდი იყო სამშობლო ჩემი,

ვახმე!

დღეს როგორ დაპატარავდა!!!

1992



შენს ქართველობას
და რაინდობას,
ათას უამურ ფიქრებს
მიუსევს
და შეგახსენებს უკვე მეასედ –
თავს,
სივერაგე ტარკვინიუსის
და ტრაგედია "ლუკრეციასი"*.

2008

* "ლუკრეცია" – უილიამ შექსპირის (1564-1616) პოემა.



ვითარც აუღებელ ციხეს,
ვინც ჩემს ყოფნას
გარს უკლიდა
და ვინც არა!
ახლა კარის ბჭესთან სხედან,
ვჯვრებ:
მომავლის –
წარსულიდან
და სიკვდილის სიცოცხლედან.

1960



76 წიგნი

აღარ მოისხამ მეწამულ ტოგას,
აღარც სამეფო –
დაიდგამ გვირგვინს,
და "მეუფობას" ცას არ შესტირებ!
თუმცა შენს "კოლხურ ფსალმუნებში"
თვალს ახელს წიგნი –
ს-ა-მ-ო-ც-დ-ა-თ-ე-ჭ-ვ-ს-მ-ე-ტ-ი-ვ-ე.

1999

* ბიბლიიაში – 76 წიგნია.



შორს –

წარსულის მთებზე მდგარი,
ფერწასული ეგ ნისლები,
გზებს გასცეკრიან
გამოვლილთა...

ეგრისიც და ეგრისულიც,
აიეტის კოლხეთიდან
და პონტოდან –
ამოვლინდა.

1981



01 ყველი

იუდეველთ ნაშიერი,
ვით სისარას "ემსახუროს",
მერე მოსრას და უყელოს,
პვლავ ეძებს, ვით იაყელი*,
"კარვის პალოსა და
უროს".

1969

* იაყელი – ბიბლიური ებრაელი ქალი, რომელმაც ქანაანელ
სარდალ სისარას – მუხანათურად "კარვის პალო" ჩაურჭო
საფეხურზე.



ძე ხარ პოსეიდონის,
თვალი ქარით გევსება...
უფლის ნებით იცოდი,
ალბათ შუბლზეც გეწერა:
რომ კოლხეთში ლექსების
მოსულიყავ წარღვნად, და
ქუხილად და...
გეწყერად...

1993



პოსმიშრი მხედარი

სურვილი გპლავს,
ზესკნელში,
ადრე მიძინებული
გარსპოლავები აყარო
და ურანოსს* ედარო!
რადგან შენ ხარ სამყაროს
კოსმიური მხედარი!

1993

* ურანოსი (ბერძ.) – ცის ღმერთი.



ხორგა

(ვარიანტი)

თუმც შურის ტყვიას უშენენ...

ქამი,

მაინც ვერ დაჩაგრავს!

და... ხორგა მხარს დაუმშვენებს –

რუსთავს,

ჭყვიშს,

სხვიტორს და

წარგალს.

1993



ანი და ონი

ვითარც ქალდეველი კოლხი,
შორეული წარსულიდან
მოფრენილი წვით და ოხვრით,
ხარ საწყისი და სასრული,
შენ ხარ ანიც¹ და
ობიც².

1978

1, 2 – "ანი და ონი" (ალფა-ომეგა.) – საწყისი და სასრული.




ბრმა სამყარო!

აშ სად ჰქოვებს,

შენისთანა "ველურ" პოეტს!

2014



გრაალი, ეფუძი და დაო

მძვინვარ საუკუნეებს –
ახვევია ქინქლებად
წუთები და წამები...
მაგრამ როგორც სამება,
მარადისობასთან დაობს:
"გრაალი",
"ბიბლია! და –
"დაო*!"!

1971

* "დაო-დე-ძინი" (ლაო-დი).



ზსალმუნი

ვითარც პრომეთემ,
ეს მცირე ცეცხლი,
ზეშთაგონების ღმერთს მოვსტაც
მაღალ ზეციდან.
და ავაბრწყინე ამ წიგნის კელი.
ადექ, გახსენი,
ოუკი შეგცივდა
და სტრიქონების ნაკვერჩხლებზე
გაითბე ხელი.

1971



ხიდან –

ჩვენი სიცოცხლის,
ცვიგა ოქროს ნაყოფი...
რის ჩინური კედელი!
თხმელის წანელის ღობეა, –
შუა,
ყოფნას და არყოფნის.

2001



ლოცვად მოუსხამს ზეცას მთიები
და შორეული სიგრცე
იტაცებს...
მთვარის ბინადარ მგოსანს –
მთვარის მოსავს მშვენება და
ჩამოსულა დედამიწაზე, –
“უფლის ბაღის მოსაშენებლად“.

2001



მარადიულ ცის ტილოზე, ხელთ
მზის ფუნჯით
საოცრებებს
ქმნიდნენ უფლის კარნახით:
გოლბეინი,
დელაპრუა,
სეზანი და კრანახი.

1963



ვით მზე დილას –
მღიმარეს, მსურს,
რომ სული აღმომხდეს, რომ
მოგირჩეს სიყვარულის
იარა.

და იცოდე –
აქ – მიწაზე კი არა,
ცაში არის სამოთხე!

2003



სადღაც ათასწლეულების – ძველ
ჭალაში,
გით არესის, დავიწყების
ბუდობს პიდრა და ხსოვნა კი მის
მტერია,
სწორედ მას მსურს
გამოვტაცო,
მე „კოლხური მისტერია“.

1974



ა. ა. მ.

როს მზემ დასავლით თვალი მიღულა,
მწუხერმა ცის მკლავზე
ვარსკვლავი აცრა
და გამოცოცდა ღრუბლიდან სხივი –
ც ა ხ ც ა ხ ა.
ჟცებ იქუხა და... ყოველი აქცია
ნაცრად,
ფეხი დაადგა სიმყუდროვებ
მთვარის ნასახლარს.

1968



რა ვქნა!

კოლხური –
„ჩემი ფსალმუნი“, დიდ
მეფსალმუნის – დავითისაც ვერ
დავამგვანე,
აი, ამიტომ მიპირებენ დავას იჭვები.
მაგრამ მე მაინც
ფიქრის არგანით,
ათასწლეულთა უღრანებში
დავაძიჯებდი.

2003



სიცოცხლე,

სიკვდილი, ყოფნა და

არყოფნა,

თითქოს ვიგალდის ოთხი სონეტია.

საქართველოში ოთხი პოეტია, სხვა

ათას დანარჩენს,

არავინ იცის —

უამი თუ დაარჩენს.

1993



ხელთ ეპყრა კოლხური მოვარის
ნაჭერი! მიწა ქალამნად,
ჰქონდა ცა ჭერად.
და მეოცეში ზღაპრულ
პეგასით მოვარდა
უკან მოუხედავად...
...თითქოს შორეულ
წარსულიდან –
უცხო მხედარმა,
თეორი ტაიჭი შემოაჭენა.

2001



რაფაელის პარნასი

პეტრარკას და ალიგიერს,
ძლიერთ...

განა უუნაროთ,
ყველას ბედი ჰყავდათ გზირად,
თვით „პარნასის“ ფრესკით
მზირალ –

დიდ რაფაელს...
დიდ ანჯელო
ბუონაროტი.

2000



ხილვა: ხპთისშვილები

ვეშას წყაროსთან¹ კოშკი დგას,
ცხრათვალა,

ცას მიბჯენილი
და შიგ კი ოქროს ტახტი დგას,
მორიგე მამა-ღმერთისთვის.

ოქროს შანდლებზე – ოქროსვე
ცრემლია ჩამოდვენთილი:
რადგანაც სტკივათ სახსრები კლდეებს,
დღეებში მიშლილებს...

და ვჭვრებ „დარანთან“ ალგის ხეს,
მის ოქროს ჩრდილქვეშ ჩამომსხდართ –
ოქროსფრთვებიან – ხვთისშვილებს

1998

¹ ვეშას წყარო – უძვდავების წყარო

ჭკუას ვარიგებ...

ლექსები კი არ მიგონებენ!!!
სიტყვები ჩემი ჰგვანან შეთვალულ
ბალს თუ „რქაწითელს“.

დავბერდი კაცი! და სტრიქონები,
რავენა

ვერაფრით ვერ დავამწიფე!

2000



ლაზარე

„და ესე ენაი? მძინარ არს დღესამომდე,
და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე პრქეან“.
იოანე ზოსიმე

გადაურჩა არაბებს,
მონღოლებს და ხაზარებს.
ათას შურსა და მტრობას,
ასი ათას ლიზღებას.

და მძინარე ლაზარე
ახლა შენგან მოელის,
კოლხო!
გამოღვიძებას.

1966



სამება

მამა,
ძე და სულიშმიდა,
სამია და არის ერთი,
ისე, როგორც „სამთავისი“,
„სამაია“ და „სამშვილდე“
და არაგვიც გახლავთ სამი:
ფშავ-ხევსურეთ-მთიულეთის.

1968



ითვლი მკერდზე –
ვარსკვლავების ნაიარევს,
საოცრებას მაინც ელი.
მიხვალ...
და გზა არ ილევა...
ტბა აღარ ჩანს გალილეას,
ვით იესომ გაიარო
და არ გქონდეს ფეხი სველი.

2001



ვითა სკა ახალნაყარი,
მიღეთში აღარ ეტევი...
მოსული ურით,
მეთანით!
სართ ქრისტეს ძვალის მკვნეტელი –
ნაშობნი იქედნეთანი.

1989



ალ-ქინდი და

ალ-დაზილი

შოორ წარსულში –
გაკრთა ელგა,
თითქოს უფალს ჩაეცინა,
როცა ბოდბებს ყური მოჰკრა:
ალ-ქინდის¹ და
ალ-დაზილის²,
ავეროებ³,
ავეცინას⁴!

1969

^{1,2,3,4} – არაბი ფილოსოფოსები



წერილად ცაში ასული,
ისმის ძაღლების ღავლავი,
მთვარე ცაში ვერ ეტევა.
და, ვითა დევი და ავსული,
ოფას შუკაში დამდამით,
რაღაცა დაეხეტება...

1959



იახსარი და ბეღელა

ადამის ძეთა ნაშიერს,
ცხრათავიანი დევების
შიშით რომ აღარ ეღელვა;
სულ გვერდით ედგა კვირია¹,
იახსარიც² და
ბეღელაც³.

1966

^{1,2,3} – კაცობრიობის განმასახიერებელი (ხევსური)
გმირები



ზვირთებზე ამხედრებული,
მწუხარი ნაპირებს მიადგა.
და ახლაც,
ვითა წინათაც,
ვიღაც ბინდბუნდში კითხულობს
სულებს,
ზღვის ფსკერზე ბინადართ.

1960



300ა პოლხი ძროხოსი

შოორეული კოლხეთის –
დგომიურ იდუმალებას,
სულს –
წარსულში ატანდი,
ვითა კოლხი ქრონოსი –
მეფეთ-მეფე ატლანტის.

1965



უსასრულობაში –
სამყარო მარხია,
არ უჩანს არც თავი,
არც ტანი.
დღე უფლის სახეა,
დამე კი – სატანის.

1961



ტაო-კლარჯეთში

ხუთი საუკუნის მერეც,
ისევ ფიცულობენ ძმის მზეს,
არა მაპმადსა და
ალაპს.
და კვლავ ტაო-კლარჯეთიდან –
ცრემლიანი თვალით გვიმზერს:
ჰოშრეთი¹ და მიძნაძორი²,
ნუკა³,
ექი⁴ და ჯალა⁵.

1966

^{1,2,3,4,5} – ქართული ეკლესია-მონასტრები (IV – XVI ს.),
რომლებიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა



ჯვრები: გუდან-ლაშარის

ქისტი რაღას დააკლებდა

და ან ლეკი — აშარი.

მაშინ,

როცა ფშავ-ხევსურეთს,

დღენიადაგ მფარველობდნენ

ჯვრები —

გუდან-ლაშარის.

1965



ქუგალე¹

ბაბილონის გოდოლის
ცად მდგარ რვავე სართულის
კედლებს მკერდზე ეწერათ
სიტყვა კოლხურ-
ქართული:
“ქუგალე!“

1982

¹ „ქუგალე“ (მეგრ.) –შემოგველე. პეროდოტეს (ძვ. წ. IV ს.) ცნობით, გოდოლის სიმაღლე იყო 90 მეტრი. საძირკვლის სიგანე 180 მ. პირველი სართულის სიმაღლე იყო 33 მ, მეორის – 18, მეშვიდის – 15 და ა. შ. გოდოლის მშენებლობაზე დაიხარჯა 85 მილიონი აგური.



ვითარც ადრე,
ქვესპნელი
ბნელში, ისევ ისეა,
მაგრამ, მწამს „ოდისეა“,
ჩუმ სიხარულს განიჭებს,
რადგან იცი, სიზმრების
სახილველად ეწვევი
შენ ჰადესის კარიბჭეს!

1984



რომ დაგავიწყონ წარსული
და მასთან ერთად ეგრისი,
დღეს არის ამის მცდელობა!!!
და ვით იტყოდა ტიციან,
მათ დიდებულად იციან:
დღევანდელ საქართველოში,
ძნელია ეგრისელობა!

2014



ეზოთერიკულს მისდევდა ბილიქს...
დამე უდრანში –
უჭირდა პოვნა.
და მერე გვიან...
სამოთხის კარი,
გაუღეს...
მაგრამ არ ახსოვს ხსოვნას.

2011



იყო სარგონ მეორე¹,
მან ესროლა მზეს შები!
და მას მერე მოისმის
ციდან წყვევლა-ჩივილი:
ხალდესი² და თეშების³,
ცეცხლისმფრქვეველ შივინის⁴.

1979

¹ – სარგონ მეორე – ასურეთის მეფე (ძვ. წ. VIII ს.).

² – ხალდე – უზენაესი ღმერთი ურარტუს დვორებათა პანთეონში (ძვ. წ. IX ს.).

³ – თეშები – ამინდის, ჰექა-ქუხიოლის ღმერთი.

⁴ – შივინი – მზის ღმერთი.



მიიმღერის სიყვარულს

ისე,

ვით ავთანდილი,

ქვეყნად ვერ დაეტია.

პოეტია ნამდვილი,

მაგრამ მაინც პოეტზე

ერთი ადლით მეტია.

2014



გენეზიციუმი

ქართული ცისქვეშ ღამენათევი
პოეზიაა შენოვის –
ელვით გასანთლული ყულფი.
და მაინც...
“კოდხური ფსალმუნები“
და იქმენ ნათელი!“
ბენეფიციუმია¹ უფლის.

2001

¹ ბენეფიციუმი (ლათ.) – წეალობა!



არამხუთუ – ამირანი – პრომეთე

ლეგენდებიდან მოსულნი –
მითებს და ლეგენდებს
ერთვიან,
ვინც უცხადებდა ომს ღმერთებს.
სამია,
მაგრამ ერთია:
არამხუთუ –
ამირანი –
პრომეთე.

1969



სადღაც მარადისობის
გზაზე,
კვლავ მიგაცილებს
მზითმოსილი ქოსი¹.
ვერრას გიზამს მაცილი² –
დვთის საჭურვლით
შემოსილს!

2001

¹ – ქოსი (ბერძ.) – განთიადის ღმერთი

² – მაცილი (ქართ.) – ავი სული, დემონი



მარად მედინი მზის და

სიცოცხლის

ხელებით აკვანდარწეულები

რომ დგანან ფეხზე,

ქართვლის მთებია.

ბრძოლით ჩავლილი ასწლეულები –

ძველ კოლხეთისკენ –

ისევ ისე იხედებიან...

1969



იასპით და აქატით

განვლე ასწლეულები
და იქიდან –
აქამდე,
მოხვედი უფლის ხმობაზე –
და შენ ააგე სასახლე:
იასპითა და
აქატით,
ანთრაკითა და ტოპაზით.

2004



ყველა გზა ალბათ იქ უხვევს
და ჰყვავის მზე და
იქლი.

მგოსანო, შენი სახელი,
სამყაროს გადაიელვებს,
მესივით გადაიქცებს.

2014



მიმწუხარისას წუხელ მთვარემ,
დარახტული გარსკვლავების
გადუქროლა ცას ამალით.
და არ დაუტოვა ღამეს
გულში
ბნელის ნატამალი.

1967



იხე, ვით სიცოცხლე,
სიკვდილიც შენ გშია
და გსურს წარსულის
ლანდები აყარო!
რადგანაც სამყარო შენშია,
შენა ხარ სამყარო.

2002



ვითარც ათასწლეულების
წინათ,
ახლაც წარმართების –
მონაბერი ქარიშხალი,
ისევ ისე ქრის ტიალი,
მაგრამ ქრისტეს გაჩენამდე,
მე ვიყავი ქრისტიანი.

1973



არაგვი ღელვას დაგვპირდა,
მოსილი შავი ღრუბლებით,
ნისლებში მთები არ ჩანან
და ჩვენ ჩარგლულას ნაპირთან –
ლუკას,
თედოს და
ბაჩანას,
აჩრდილებს ვესაუბრებით.

1963



ამირსპასალარი

ადამის ძის ნაშიერი,
ამ მიღეთში
არსად არი,
კაცი უფლის მოვლენილი:
სიბრძნის ქვაზე აზრის ლესვის!
შენ ხარ ამირსპასალარი,
სპა – მრავალი ქართულ
ლექსის.

2009



მიქაბამრიო

სადღაც,

მიუგალ პიტალოზე,

ეს ჩემი მცირე ნანადირევი,

ვითარცა აქ,

ისე

იქაც გარიო,

სად ვარსკვლავების ქინქლა ირევა,

მიქაგამრიო!

2004



ქ ა მ ა ნ დ ა რ ი

დამეებმა შენ დაგსაჯეს,
თუმც სიყვარულს
კედარ გტაცებს,
კერც დარი და კერც ავდარი
და სიტყვაში –
სიტყვას აჯენ,
კით ოსტატი ქამანდარი¹.

2003

¹ ქამანდარი – კარგი მსროლებლი



ადამის ძის ისტორია,
თუმცა ბრძოლითა და
დავით,
მაინც მართლის ბილიკს მისდევს,
რაღგან იცის,
ვით აბრამი,
ქალდეველი იყო ქრისტე.

1979



გაჩენის დღიდან სივრცეებს –
აწუხებთ ვარსკვლავთა იარა.
და მიტომ ცა მიწას
არ ყვარობს.
უკოლხეთოდ, საქართველო კი არა,
უწარსულოა –
სამყაროც.

1969



ღრუბლების ზეირთები ღელავენ
მთვარეში

და მეხის ძახილზე

ფრთხებიან...

ფიქრის ზღვა არ ყოფნით სათარეშოდ
შენს ლექსთა სტრიქონებს,
ალბატროსების ფრთებიანს.

2001



ჩე გოლა

ჩე გოლა¹ –

მთა გახლავთ მონსალვატის²,

სადაც „კოლხური ფსალმუნები“,

ვით ტიტურელის გრაალის ტაძარი,

(რომელსაც ოქროები ამშვენებენ),

სულ ბიგრიტითა და

ონიქსის, –

ნათალი ქვებითაა ნაშენები.

1999

¹ – ჩე გოლა – (მეგრ.) – თეთრი მთა (სამეგრელოში)

² – მონსალვატი – მთა იერუსალიმში



მწუხარისას ცის ბილიკებით,
ოცნება შორს გამიტყუებს –
(დამაძალებს სხვათა მტრობას!)


ვით ადრე,
ეხლაც თავს ვიტყუებ,
ვინა თქვა ჩემი პოეტობა?!

2004



სიცივის კიბეებით ჩამოდის ზამთარი,
და თოვლი მოუშვია
 თმა-წვერივით,
თვალები სინათლით ევსება.
მდინარეები –
 პოემებია,
ნაკადულები – ლექსები,
მთების ცრემლებით დაწერილი.

1962



ვითარც კოლხურ მზის ნაშიერს,
ათასწლეულია —
ბარე ოცი,
სფეროები რომ თავზე მევლებიან.
ჩემი საფლავია —
მოვარის ბორცვი,
ვარსკვლავები —
ანგელოზთა ცრემლებია.

2005



ფაზისის არა,
სადღაც ნილოსის
მიღმა,
ასი ათასწლეულის,
ჩემი სამშობლოს შოორეული ბედით
სწეული –
ფიქრი დაეძებს იქ მოსახლე
კოლხთა საცხოვრისს
და გზას უნათებს მადლი
მაცხოვრის.

1977



ჩამავალი მზის ხვინჭა სხივები,
მიწას კი არა,
ზეცას ათბობენ,
თუმცა ღრუბლები ჩანან ჭყინტები.
სადღაც შორეთში –
ერთი ვარსკვლავი
მთვარის სარკმელთან ქვლავ იჭყიტება.

1964



100 000

აპაზებმა და მაჟმადხანებმა,
ზღვისკარად მდგარი ჩემი
მამული,
ბევრჯერ დამიწვეს და ამიოხერეს...
მიწიდან აღგვას დღესაც
ლამობენ.

მე,

საქართველოს –

უძველეს კოლხეთს,
ასი ათასი ფსალმუნი გუგალობე...

2009



ეს სამყარო მთელი –
ხელისგულზე მიზის.
ვდგავარ უფლის ჩრდილში
და შევყურებ შიშით,
„იქით“ გადაფერდილ
პირამიდას პიზის.

1984



მეხი – მეხს მისდევს,
ქუხილს – ქუხილი...
და ცის კელ-მინდვრებს
ოქროდ გადაშლილს,
ავლავ ანიავებს და აპარტახებს.
ზღვა კი ისევ წევს
ლელვის აკვანში,
წყვეტს ქარიშხალი ზვირთთა
არტახებს.

1962



მიწისგან არა,

ცისგან შთაბერილ

სულს,

რად ამბიმებს ხორცის

სიმძიმე,

სააქაოში სულდგმულთაგან იცის არავინ!

ბნელში რატომ დგას მთვარის

კარავი,

და ან ვარსკვლავი ჩუმად ვარსკვლავს

რად შესციმციმებს?!

1969



სიცოცხლე არა,

სიკვდილია თვითონ უკვდავი,
მიტომ არ ესმის მოკვდავთ
მუდარა.

ფეხდაფეხ დაგვდევს სულთამხუთავი,
მიწა —

პუბლა,

ცა კი — სუდარა.

1971



სგანეთში

— თავზე ჭერი გვენგრევა —
ისმის შორით
დამ-დამით —
განწირული ძახილი —
მესტიაში — ლალამის,
მულახში კი —
ლახირის.

1974



ბორხესი და მარკესი

დამის ლაბირინთებში

თვალს გჭრის ბრწყინვა

“სარკესი“

და ჭვრებ სულ სხვა სამყაროს –

ათასფერად დაკემსილს.

სადაც სული ტრიალებს –

ბორხესის¹ და მარკესის².

1976

¹ – ხორხე დეის ბორხესი – არგენტინელი მწერალი
და პოეტი (1899 – 1986)

² – გაბრიელ გარსია მარკესი – არგენტინელი მწერალი



ყოფნაც და არყოფნაც,
ორივ ერთად შეფსკვენი
და რაც იყო, სულ ითქვა.
უხილავი არ დარჩა
ზესპნელი და ქვესპნელი,
შენს ყოვლისმჟღრეტ გულისყურს,
ყოვლისმხილველ –
სულის თვალს.

2004



მწუხარის კართან ხეები,
ჩუმადვე გაიღანდნენ,
თან წაიღეს ორო¹.
დამე უსმენს დილამდე,
ვასაკების „პვა-პვას“ და
ბაყაყების ქოროს.

1960

¹ ორო (მეგრ.) – ჩრდილი



ყურშა ვარ ყოფნის ერთგული,
ამირანს ჯაჭვს რომ
ულოკავს,
ხვალის იმედს რომ არიგებს.
და გვედრი არსოა
გამრიგეს:
სიკვდილზე ადრე ნუ მომკლავს.

2008



ოსირისი და იზიდა

დღე და დამე ნიადაგ
გვტყორცნის მზერას –
ისრიანს,
და ჩვენ ფიქრს რომ იზიდავს –
მთვარე –
ოსირისია¹,
მზე – მშობელი იზიდა².

1966

¹ – ოსირისი(ბერძ. ეგვიპტ.) – მცენარეულისა და ნილოსის ღმერთი

² – იზიდა(ბერძ. ეგვიპტ) – ნაყოფიერებისა და დედობის ქალღმერთი

ქვეყნის ორომტრიალში –
თავი არ დაიბერეს
ბერძნებმა და...
უძღვნიდნენ,
ვითარც ღმერთებს, სიმღერებს...
ქვეყნად პირველ მოსახლე –
ქალდეველებს, –
იბერებს.

1984



შოოო წარსულში პელაზგი

ბნელში სანთელს უნთებდა:

ნერეიდას¹,

თემიდას²,

ჰერას³,

ვესტას⁴,

ქარიტებს⁵.

დღეს კი პრეისტორია,

ნეტავ,

პირს რად არიდებს?!

1977

^{1,2,3,4,5} – (პელაზგ.) – დმერთები



ქართული სული

სულს საფრენად სამყაროს სიგრცე
ეპატარავა

და უსაზღვრო საზღვარი ცოტა
იქით გასწია,

სადაც მიჭედილია ცა —

კოლხური ანბანით —
და მარადის უქამო დღე მეუფობს
მზიანი...

ჩაუქროლა პლანეტებს,

განედ-მერიდიანებს,
ზღვებს,

ბერმუდის კუნძულებს,

სკნელებს, ანდებს,

უდაბნოს...

და სავანედ ირჩია ჩე-გოლა¹ და

შამბალა².

1973

¹ — ჩე გოლა (მეგრ.) — თეთრი მთა

² — შამბალა — წმინდა სულეიბის სავანე

მზის შვილი ხარ და სამყაროს
გარს,

ნიადაგ მზისებრ უვლი
და გაწვალებს სიმარტოვე,
რადგან შენ ხარ,
ნოქ,
„მართალი და სრული“.

2015



ხილვა: შენოფონტე ფაზისთან

აფრაგაშლილს ვხედავ გემებს,
ზღვაში ჩაყრილთ,
ვით ნაფოტებს.

იქვე მდგარი ქსენოფონტე,
ბრძოლით მხურვალ შუბლს
იგრილებს.

და წალეპვით ემუქრება –
მოსინიკებსა¹ და
დრილებს².

1971

¹ – ქსენოფონტე – ბერძენი მწერალი და სარდალი

² – მოსინიკები, დრილები – ქართველური ტომები



ზღვის მეუფობამ და
მზის შვილობამ,
მიწიერ მითებს გადაამეტა
და არ წამოგცდეს მდურვა გამჩენის.
რადგანაც უცხო –
შენ ხარ პლანეტა,
დიდი ხნის მერე აღმოსაჩენი.

2009



სპოლები ლაზიგაში

როს პართიულო წარსტაცეს
გვარი სასანიდებმა,
მაშინათვე ლაზიკის
სახელსა და დიდებას:
ფაზისსა¹ და პიტიუმს²
მზე ჩაუქრეს სკვითებმა³.

1972

¹ – ფაზისი – ფოთი

² – პიტიუმი – ბიჭვინთა

³ – სკვითების შემოსევა – 225 – 260



ჩილდირთან და მაპრიალთან

ათასი წლის სიშორიდან –

ჩილდირთან და

მაკრიალთან –

გესმის ჩუმი საუბარი:

მეგრელების და

ლაზების,

„ომახუჭუჭა“ ლამაზების –

სანის,

ზანის და

სუბარის.

1967



ყოფნის ტექში ვჭვრებ:
სიკვდილი –
მეტყველ,
ცხოვრების ხეს ჭრის და...
ცვივა ნაფოტი.
ჩვენ კი პვლავ არხეინად,
ათას დარდით გაფოთლილს –
მიკუცვებით –
არყოფნის ხეივანს.

2001



დისტიქტი

I

(კაულბახი¹: „მარადიული ურია“)

არავინ იცის, სად გარბის,
გზები ვინ აურია?! კაულბახის მზით
ნაწერ –
“მარადიულ ურიას“.

II

(მაზაჩო²: „სამოთხიდან განდევნა“)

განვლო წელმა რამდენმა, მაინც
ბრწყინავს მაზაჩოს
“სამოთხიდან განდევნა“.

1972

¹ – ვილეველმ კაულბახი – (1805 – 1874) დიდი გერმანელი მხატვარი

² – მაზაჩო (ტომაზო დი ჯოვანი დი სიმონე კასაი (გვიდო) – 1401-1428 – დიდი იტალიური (ფლორენცია) ფერმწერი

სარჩევი

მარტულა	25
უხილავის და ხილულის	26
მგზავრობა ქვესკნელში	27
*** (ცვალებადია წუთისოფელი)	28
*** (შენი სიტყვის „სითაგხედებ“)	29
მთები	30
*** (გეპყრა რწმენის მახვილი)	31
*** (გაუმარგლავ ცის ყანაში)	32
*** („კოლხურ ფსალმუნთა“)	33
ისე, როგორც ოსია	34
ისევ ბაბილონი	35
*** (ლექსის ყოველი სტრიქონი)	36
*** (მთვარის პალოზე დაბმულია ცა)	37
მოგიტეხიათ სულყველას კინჩხი	38
ხარის რქა	39
ისევ „იქმენ ნათელი“	40
*** (ლრუბლების მცირე ბორცვზე)	41
ხელმწიფე გილგამეში	42
ღრუბლები	43
პუშკინი და დანტესი	44
*** (მზის შვილი და მზის ნაშობი)	45

მეფეთა და ვაზირთა.....	46
ცაა – სულთა კავშირი	47
*** (ათასწლეულთა ქარები).....	48
მურიცხები.....	49
ისრაელი ძვ. წ. V საუკუნე	50
ესთერი	51
ვარსკვლავები	52
*** (ასეა წუთისოფელი)	53
*** (პოეტე?)	54
აბრამი და ნოე	55
იქმენ ნათელი!	56
მცხეთა IV საუკუნე	57
*** (ვითა მოსე ჟამს სიყრმისას)	58
*** (მეცხრე არა)	59
*** (შიშით მეფე პეროდეს)	60
*** (მოულოდნელად ჩამოქურუხედა)	61
*** (მუზარადი გაეხუროს და)	62
*** (ნუდარ გაკრთობს მონისლება)	63
*** (ცა)	64
სარვა – გატა	65
*** (ნათლის სვეტად ჩამოსული)	66
*** (ვითარცა გვმოძღვრავს	

ეპლესიასტე)	67
*** (ქართული სიტყვა ბრიალებს ალიგიო)	68
*** (სიცოცხლის ხე რწმენას შრიალებს)	69
სამი ძმა	70
*** (ღმერთებმა მარადისობა გაიმეტეს)	71
*** (ურწმუნოთა შიშთვალიოთ)	72
*** (აიეტის კოლხეთივიოთ)	73
*** (ოქროს ფრთიანმა შენმა პეგასმა)	74
*** (ვით წინ ათასწლეულების)	75
*** (ვისაც შენი სიყვარული)	76
*** (შენს ცის ქვაბში ნაადრევად)	77
*** (ისე)	78
*** (შვიდი ათასწლეულის)	79
*** (გრაალის სსნის წადილმა)	80
*** (თუ ჩემი წერა-მწერალი)	81
მთაში	82
*** (ლოცვით მორწყულ ცის მინდორზე)	83
ენქიდუ და გილგამეში	84
*** (პოეტს მეცხრე ცის ბინადრის)	85

*** (ვით ლუკას და იოანეს).....	86
*** (სიცოცხლე და სიყვარული)	87
*** (ადამის ძისთვის ოაც მთვარია).....	88
*** (აიეტის დიდ კოლხეთს)	89
*** (ცისქვეშე მარად მედინი).....	90
ბარუქს, მერონსა და ოემანს.....	91
მარტყოფი, მარაბდა – 1625.....	92
*** (სიკვდილ – სიცოცხლის ჭიდილი) ..	93
ვარსკვლავთცვენა	94
მთაწმინდა, დიდუბე.....	95
ისევ ხორგის სასაფლაო	96
*** (უვიცები და რეგვნები)	97
*** (შხამით პირწამახული).....	98
*** (კოლხეთის წარსულიდან)	99
*** (არ გექნება თვალი სველი).....	100
*** (დილის ბინდ-ბუნდში).....	101
*** (ჯოჯოხეთი მიგელის).....	102
ეპის მთა.....	103
*** (მეცამეტე ცისა და)	104
გაზაფხული	105
*** (– ალბათ, სულ მალე მოენატრება).....	106
*** (ვაი პატრიოტები).....	107

*** (მარტყოფს).....	108
*** (დღე და დამის შუა გადებულ)	109
*** (თავზე გადგას ნათელი)	110
*** (ვითა კოლიზეუმი)	111
*** (პოეზიის ტაძარში)	112
*** (ბნელ ქვესქნელში შობილი)	113
*** (მეცამეტე ცის დარბაზში)	114
*** (ცა)	115
*** (ჩვენ როცა გარდავიცვლებით)	116
*** (ვარსკვლავების საჩეჩელზე)	117
*** (ვითარც სული)	118
სტოუნენჯი	119
*** (შენი ბედის ვარსკვლავი)	120
*** (მეხის ძახილზე)	121
*** (დილის მზისებრ მოელვარეს)	122
*** (შოორეული წარსულიდან)	123
30-ე პარალელი	124
*** (ისევ ჰყვავის ედემ ბაღი)	125
*** (ცივი სიშორით გადახურული)	126
*** (შორი ათასწლეულების)	127
*** (მნათობებში ანთია)	128
*** (ჯერ კიდევ შორს აქვს სავალი)	129

ტიგროს – ევფრატ – ფაზისი.....	130
ისევ „იქმენ ნათელი!“	131
კოლხებსა და ლაზ-მეგრელებს	132
*** (ასო არა)	133
*** (ვარსკვლავებით მოგვარჩხალე)	134
უსურვაზი.....	135
ბაბილონის გოდოლი	136
*** (ძერების და ყვავ-ყორნების).....	137
*** (არყოფნის ციდან ჩამოსულები)	138
ნოუმენი.....	139
*** (ზეციურ საუნჯეთა)	140
შენი ცა.....	141
*** (მთათა მიღმა მთიები).....	142
*** (რისხვა ათასწლეულთა)	143
*** (სიამაყე მთებური)	144
ლექსებია – პერმეტული.....	145
წმინდა ეფრემსა და პავლეს	146
აპოკალიფსური რიცხვები.....	147
*** (შენ კოლხი ხარ).....	148
*** (შენ)	149
*** (კოლხეთს და ბაბილონს)	150
ზაგროსის მთიანეთი	151
*** (შორეული წარსულიდან)	152

*** (უდმერთოდ რომ იარები)	153
*** (ცა გელის ცის ბინადარს)	154
*** (გაწვალებს კოსმოგონია)	155
ქორიბის და სინას მთის	156
*** (ცეცხლის ფრთიანი ელვის პეგასით)	157
*** (პონტოს ბობოქარ ზღვას გასცემოდა)	158
*** (ძველ კოლხეთის სანაპიროს)	159
*** (მეცხრე ციდან ჩამოსული)	160
თათუ	161
*** (ღამის იქიდან ისმის ძახილი)	162
*** (კოლხეთში)	163
*** (ვარსკვლავებს იქით...)	164
გათენება	165
მთებში	166
ერთი ვარსკვლავი	167
*** (მაღალია შენი ცა)	168
დაგატეხეს რისხევა ზევსის	169
*** (ნიკოფსიიდან)	170
*** (შენს ქართველობას)	171
*** (ვითარცა აუღებელ ციხეს)	172
76 წიგნი	173

*** (შორს).....	174
იაყელი.....	175
*** (ძე ხარ პოსეიდონის)	176
კოსმიური მხედარი.....	177
ხორგა	178
ანი და ოხი.....	179
*** (ბრმა სამყარო!).....	180
გრაალი, ეფუთი და დაო.....	181
ფსალმუნი	182
*** (ხიდან).....	183
*** (ლოცვად მოუსხამს ზეცას მთიები).....	184
*** (მარადიულ ცის ტილოზე).....	185
*** (ვით მზე დილას)	186
*** (სადღაც ათასწლეულების).....	187
*** (როს მზემ დასავლით თვალი მილულა).....	188
*** (რა ვქნა!).....	189
*** (სიცოცხლე).....	190
*** (ხელთ ეპყრა კოლხურ მთვარის ნაჭერი!).....	191
რაფაელის პარნასი	192
ხილვა: ხეთისშვილები.....	193

*** (ჭეუას ვარიგებ...)	194
ლაზარე	195
სამება	196
*** (ითვლი მკერდზე)	197
*** (ვითა სკა ახალნაყარი)	198
ალ-ქინდი და ალ-ლაზილი	199
*** (წუხილად ცაში ასული)	200
იახსარი და ბედელა	201
*** (ზვირთებზე ამხედრებული)	202
ტაო-კლარჯეთში	203
ვით კოლხი ქრონოსი	204
*** (უსასრულობაში)	205
ჯვრები: გუდან-ლაშარის	206
ქუგალე	207
*** (ვითარც ადრე)	208
*** (რომ დაგავიწყონ წარსული)	209
*** (ეზოთერიკულს მისდევდა ბილიკს...)	210
*** (იყო სარგონ მეორე)	211
*** (მიიმდერის სიყვარულს)	212
ბენეფიციუმი	213
არამხუტე – ამირანი – პრომეთე	214
*** (სადღაც მარადისობის)	215

*** (მარად მედინი მზის და).....	216
იასპით და აქატით.....	217
*** (ყველა გზა ალბათ იქ უხვევს)	218
*** (მიმწუხრისას წუხელ მოვარემ).....	219
*** (ისე, ვით სიცოცხლე).....	220
*** (ვითარც ათასწლეულების)	221
*** (არაგვი ღელვას დაგვპირდა)	222
ამირსპასალარი	223
მიქაგამრიო	224
ქამანდარი	225
*** (ადამის ძის ისტორია)	226
*** (გაჩენის დღიდან სივრცეებს).....	227
*** (ღრუბლების ზვირთები ღელავენ) ...	228
ჩე გოლა.....	229
*** (მწუხრისას ცის ბილიკებით)	230
*** (სიცივის კიბეებით ჩამოდის ზამთარი)	231
*** (ვითარც კოლხურ მზის ნაშიერს).....	232
*** (ფაზისის არა)	233
*** (ჩამავალი მზის ხვინჭა სხივები)...	234
*** (აბაზებმა და მაჰმადხანებმა).....	235
*** (ეს სამყარო მოელი).....	236

*** (მეხი – მეხს მისდევს).....	237
*** (მიწისგან არა).....	238
*** (სიცოცხლე არა).....	239
სვანეთში.....	240
ბორხესი და მარგესი.....	241
*** (ყოფნაც და არყოფნაც).....	242
*** (მწუხრის კართან ხეები).....	243
*** (ყურშა ვარ ყოფნის ერთგული)	244
ოსირისი და იზიდა.....	245
*** (ქავენის ორომტრიალში).....	246
*** (მოორ წარსულში პელაზგი)	247
ქართული სული	248
*** (მზის შვილი ხარ და სამყაროს)...	249
ხილვა: ქსენოფონტე ფაზისთან	250
*** (ზღვის მეუფობამ და).....	251
სკვითები ლაზიკაში	252
ჩილდირთან და მაკრიალთან.....	253
*** (ყოფნის ტყეში ვჭვრებ).....	254
დისტიქი	255

ՀԱՅՈՒԹԻՒՆ

"Հայութիւն պատկերացութիւն" 100-թով շահում
վճառել, Տախունյան գուցչութեան, բայց այս աշխարհում
չկարող է առաջանալ, օրինակ այս է անպիս
ուշադրութեան վերաբերութիւնը պահանջութեան մեջ
7.600 ան քամութեան "Եղանակական"՝
առաջանալու 3-6 թու ենթադրվութիւն ունի
պահանջութեան, ուստի և օգտագործ
ուղարկելու կամ չուղարկելու առաջանալու
ժամանակաշրջան, պահանջութեան 100-թ.
պահանջութեան վերաբերութեան պահանջութեան
մասնաւոր առաջանալ.



გაზა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 9

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 9

გამომცემლობის
რედაქტორი – ნანა ლუხაძე
მხატვარი – საართაკ ციცაძე
მხატვრული რედაქტორი – ირაკლი უშვერიძე
ტექნიკური რედაქტორი – ნანა ლუხაძე
კორექტორი – იამზა რობაძიძე
კომპიუტერული
უზრუნველყოფა – ეგა და დავით ჯიმშელაძევეგი
გამომცემელი – ზურაბ დოლიძე

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020


გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com